პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთველის პრ. № 26
ტელეფ. 5—48
ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 177 პარასკევი 3 აგვისტო, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 100,000 მან. № 177

დღიური

— ავსტრიის მთავრობამ დაადგინა გადასცეს ს. ს. რ. კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს მეფის საელჩოს ყველა შენობები ვენაში.

— საფრანგეთი, ბელგია და ინგლისი ვერ შეთანხმდენ საკონტრიბუციო საკითხში. გაზეთების ცნობით, მოკავშირეები ცალ ცალკე მისცემენ პასუხს გერმანიის უკანასკნელ მემორანდუმზე.

— ბულგარეთში ამხ. კოლაროვთან ერთად გაანთავისუფლეს მასთან დატუსაღებული სხვა კომუნისტები.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა პარასკევს, ა. წ. 3 აგვისტოს

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგი თვით რაიკომებმა და იაჩეიკებმა შეიმუშავონ.
ტფილისის კომიტეტის მდივანი მაგ. **რუბენი.**

4 აგვისტოდან 12 აგვისტომდე

საჰაერო ფლოტის კვირეულია.

ყველაფერი საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ

შაბათი, 4 აგვისტო: წარმოდგენა პროფკავშირთა კლუბში. დასაწყისი 7 საათზე.
კვირა, 5 აგვისტო: ქართველ წითელარმიელთა კლუბში სეირნობა, წარმოდგენა, კაბარე.

ქართული დივიზია—საჰაერო ფლოტს.

სეირნობა „ორჯონიკიძისა და სტალინის“ სახელობის (ყოფ. მუშტაიდი) და წითელარმიელთა ცენტრ. კლუბებში.
ორშაბათი, 6 აგვისტო: კინო საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ, (კინო-პალასი, ვარსკვლავი, ეთერი, ოაზისი, არფასტო).
სამშაბათი, 7 აგვისტო: მუშათა ცენტრალურ კლუბში პიესა „წითელი არწივები“.
ოთხშაბათი, 8 აგვისტო: კავკასიის ცალკე არმიის შიმშილობის შედეგებთან მებრძოლი კომიტ.—საჰაერო ფლოტს. საღამო წარმოდგენა „დაისების ბალში“.

ჰაეროდრომზე საჰაერო ფლოტის აღლუმი.

ხუთშაბათი, 9 აგვისტო: პროფკავშირთა საბჭოს კლუბი—„წითელი არწივები“. მუშტაიდში მოხსენება საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის შესახებ.
პარასკევი, 10 აგვისტო: ნაძალადევი „წითელი არწივები“. აულაბრის კლუბში—მოხსენება საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის შესახებ.
შაბათი, 11 აგვისტო: ავლაბრის კლუბი—„წითელი არწივები“. „ახალ წრეში“ **დიდი სეირნობა.**
კვირა 12 აგვისტო: მუშტაიდი—„წითელი არწივები“. ქართველ წითელარმიელთა კლუბში—**სეირნობა, წარმოდგენა, კაბარე.**

კავკასიის ცალკე არმია—საჰაერო ფლოტს.

საჰაერო ფლოტის კვირეულის გამტარებელი ცენტრალური კომისია.

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოს პრეზიდიუმისაგან

თანახმად თბილისის საბჭოს პლენუმის დადგენილებისა, ევალება საბჭოს ყველა წევრებს 10 აგვისტომდე აუცილებლად გამოცხადდნენ აღმასკომის სამდივნოში და ჩაეწერონ რომელიმე სექციაში სამუშაოთ.

სექციაში სამუშაოთ ჩაწერა სავალდებულოა:

კრ. 539 4—3
პრეზიდიუმი.

უპარტიო გლეხთა კონფერენციები

უკანასკნელ დროს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან მოდის ცნობები უპარტიო გლეხთა კონფერენციების ჩატარების შესახებ. ასეთ კონფერენციებს, რომელშიდაც უშუალო მონაწილეობას იღებს მშრომელი გლეხობის ფართო მასები დიდი მნიშვნელობა აქვს გლეხობასთან საბჭოთა ხელისუფლების კავშირის განმტკიცების საქმეში.

გლეხობა ამ კონფერენციებზე აშუქებს თავისი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს, სოფლის მეურნეობის მდგომარეობას და თავის დამოკიდებულებას საბჭოთა ორგანოებთან. აქვე ის ეცნობა მთავრობის კანონმდებლობას და იმ ღონისძიებებს, რომლებსაც მთავრობა ღებულობს ქვეყნის მეურნეობის აღსადგენათ, მუშათა და გლეხთა დიქტატურის განსამტკიცებლად. ეს კი მეტად საჭიროა, რომ გლეხობა შეგნებული მონაწილე გახდეს სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და არა მექანიკური ამსრულებელი ამა თუ იმ განკარგულებისა. თავისი მუშაობის პირობებით და რესპუბლიკის ცენტრისგან დაშორების გამო სოფლის მცხოვრებთ არ აქვთ საშუალება თავის დროზე სავსებით გაერკვენ ამა თუ იმ საკითხში.

ჟურნალ-გაზეთები ერთი რომ დაგვიანებით აღწევენ სოფლებში და ისიც ძალიან მცირე რაოდენობით და მეორე მხრივ საკმაო განათლების უქონლობის გამო ჯერჯერობით მაინც გლეხობის ძალიან მცირე ნაწილს შეუძლია პრესით სარგებლობა. ამიტომ ცოცხალ სიტყვას გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს სოფლად, ვიდრე ბეჭდვითი ინფორმაციას და პროპაგანდა-აგიტაციას.

მიტინგები სოფლად უმრავლეს შემთხვევებში ნაჩქარევად ეწყობოდნენ და ორგანიზაციულ ხასიათს ხშირად მოკლებული იყვნენ. ერთი თუ ორი საათის განმავლობაში შეუძლებელია გლეხობისათვის სახელმწიფო პოლიტიკის გაშუქება და ამავე გლეხობის საჭირბოროტო საკითხების განხილვა. ამიტომ ორგანიზაციულად შემზადებულ და ჩატარებულ კონფერენციებს გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვთ და ის აუცილებლად ერთ საუკეთესო ზომათ უნდა ჩაითვალოს გლეხობასთან დაკავშირების და გლეხობის მასიურ სულისკვეთებასთან გაცნობის საქმეში.

საჭიროა, რასაკვირველია, კონფერენციებისთვის, რაც შეიძლება მეტი საქმიანი ხასიათის მიცემა, ადგილობრივი საკითხების სავსებით გაშუქება თვით გლეხობის მიერ და საერთო სახელმწიფოებრივ პოლიტიკაზე მისი შეხედულებების გამორკვევა.

უპარტიო გლეხთა კონფერენციები კიდეც ასეთ ხასიათს ატარებდენ და გლეხობაც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა კონფერენციების მუშაობაში. აღსანიშნავია რომ ყველა ეს კონფერენციები საუკეთესო დემონსტრაცია იყო გლეხთა ფართო მასების სოლიდარობისა საბჭოთა ხელისუფლებასთან. მშრომელი გლეხობა ერთხმად და ყველას გასაგონათ აცხადებს თავის სიმპატიებს საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ერთხელ და სამუდამოთ უარყოფს და აქარწყლებს კონტრ-რევოლიუციონური პარტიების ცდას ჩამოაგდონ უნდობლობა და შუღლი საბჭოთა მთავრობისა და გლეხობის შორის. ვინც ამ კონფერენციების დადგენილებებს და რეზოლიუციებს გაეცნობა, დარწმუნდება, რომ გლეხობა თავის ინტერესების ერთად ერთ დამცველათ სთვლის კომპარტიას და ბოლომდე გაჰყვება მას შინაურ და გარეულ კონტრ-რევოლიუციონურ ძალებთან ბრძოლაში. უპარტიო გლეხთა კონფერენციები მხურვალეთ ესალმებიან კომპარტიას და საბჭოთა მთავრობას, ფიცს სდებენ მათთან ხელიხელ ჩაკიდებული აწარმოონ საამშენებლო მუშაობა.

მშვიდობიანი შრომის მოყვარული გლეხობა გრძნობს, რომ ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებით შეიქნა პირობები თავისუფალი შრომისთვის, მოისპო გლეხობის მყვლეფელ მემამულეთა ბატონობა და საზღვარი დაედო იმ დაუსრულებელ ომებს, რომლებსაც მენშევიკური მთავრობა აწარმოებდა. საქართველოს გლეხობა გრძნობს, რომ საქართველოს გარეთ საბჭოთა რესპუბლიკების სახით მას მძლავრი მოკავშირეები ჰყავს, რომლებიც ჭირსა და ლხინში მასთან ერთად იქნებიან. მაინც იცის, რომ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების მძლავრი კავშირი უზრუნველყოფს მას გარეშე მტერთა თავდასხმისაგან და ხელს შეუწყობს მისი მეურნეობის აღორძინება-აყვავებას. ვინც ჩაკვირვებია საქართველოს გლეხობის ცხოვრებას, მან იცის, რომ საქართველოს საბჭოთა რუსეთისაგან გამოყოფას ყველაზე მეტი მწუხარებით სწორეთ გლეხობა შეხვდა. და რა გასაკვირველია მას ეხლა უხაროდეს და ის ხელს უწყობდეს ამ კავშირის აღდგენას და განმტკიცებას.

გლეხს ოცნება და ფანტაზია არ უყვარს, ის ყოველ მთავრობას მისი რეალური მოქმედებით აფასებს და საბჭოთა მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ის სიხარულით ხვდება. საბჭოთა მთავრობის მიერ გატარებულმა აგრარულმა რევოლიუციამ მოსპო ფეოდალიზმის ნაშთები სოფლად და ფართო ასპარეზი გაუხსნა გლეხთა შემოქმედებას. მართალია საქალაქო მრეწველობის ნაწარმოებთა ფასების სიდიდე და სოფლის ნაწარმოებთა დაბალი ფასები ჯერ კიდევ აძნელებენ გლეხთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას, მაგრამ ეს მდგომარეობა დროებითია. საბჭოთა მთავრობა ენერგიულ ზომებს იღებს სოფლის ნაწარმოებთათვის ფართო ბაზრის გახსნისათვის და საქალაქო ნაწარმოებთა სოფლისთვის მისაწვდომათ გახდომისთვის. ეჭვი არ არის, რომ ამ მიმართულებით მუშაობა სასურველ შედეგებს მოიტანს და სოფლის ეკონომიური აღორძინება ჩქარის ტემპით იწარმოებს მომავალში.

უპარტიო გლეხთა კონფერენციები სრული შეგნებით ხვდებიან მთავრობის ღონისძიებებს როგორც საგადასახადო, ისე საერთო სახელმწიფოებრივ პოლიტიკას და სრულ გარანტიას იძლევიან, რომ კომპარტიის ძალა-გავლენა სოფლად მტკიცეა და არავითარი საფრთხე არ მოელის მუშათა და გლეხთა იმ კავშირს, რომელმაც უზრუნველჰყო ოქტომბრის რევოლიუციის ძლევამოსილი გამარჯვება.

გერმანია სამოქალაქო ომის მოლოდინში

„ჩვენ ვცეკვავთ ვულკანზე. ჩვენ ვიდგომებით რევოლიუციის ფაქტის წინაშე, თუ... ვერ მოვახერხებთ ანტაგონიზმის შერიგებას“.

ამას ამბობდა ბ. შტრეზემანი, გერმანიის სახალხო პარტიის წინამძღოლი რამდენიმე ხნის წინად თავის პარტიის ცენტრალურ კომიტეტისადმი მიმართულ სიტყვაში.

გერმანიაში ყველა გრძნობს, რომ ჩვენ ვიმყოფებით ბურჟუაზიასა და პროლეტარიატის შორის გადამწყვეტ ანგარიშების გასწორების წინაშე. ყველამ იცის, რომ ლუდენდორფი და ჰიტლერი არიან რეაქციის ხელმძღვანელნი, რომ მრავალი აფიცრები მათი ერთგულები არიან და მათთან ერთად გადატრიალებას ამზადებენ. სხვადასხვა ფაშისტურ ტენდენციების პროექტი, ისე როგორც მათ მიერ დანიშნული ვადები. ხშირად იცვლებოდენ. მაგრამ მრავალი ნიშნებია იმის დამამტკიცებელი, რომ მომენტი მოახლოვებულია. მოწინააღმდეგის ოპერაციების საფუძვლები აშკარაა. ის სპეკულიაციას ეწევა გერმანიის ბურჟუაზიის აუცილებელ დამარცხებაზე ბ-ნ პუანკარესთან და მის მზგავს იმპერიალისტებთან მომხდარ კონფლიქტში, ის სარგებლობს კუნოს მთავრობის გაიძვერობით, სხვა ბურჟუაზიულ პარტიების და სოციალ-დემოკრატიის უძლურებით. ის სარგებლობს დამშეულ წვრილი ბურჟუაზიის და იმ ინტელიგენტების უკმაყოფილებით, რომელნიც გერმანიის რევოლიუციის პირველ ფაზაში თანაუგრძნობდენ სოციალ-დემოკრატიას და სოციალიზმს, ხოლო შემდეგ იმედგაცრუებული დარჩენ. ის სარგებლობს მუშათა მასების სულიერი დაცემით, რომელნიც სოციალ-დემოკრატიის მუდმივმა ღალატმა სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა ან და ინდიფერენტული გახადა. რა მიზნით? რათა რურის ოკუპაციის და ვერსალის ხელშეკრულებისათვის ეროვნული წინააღმდეგობის სახით დაიწყოს ბრძოლა მუშათა კლასის წინააღმდეგ და დაამყაროს ფაშოს დიქტატურა. ეს დიქტატურა განახორციელებს მსხვილი მრეწველობის შემდეგ პროგრამას: მუშათა ორგანიზაციების განადგურება, კაპიტალისტურ ექსპლოატაციის მიერ დაწესებულ ყველა საზღვრების გაუქმება, 10 საათის სამუშაო დღის შემოღება, ყველა სახელმწიფოებრივ წარმოებათა კერძო კაპიტალისათვის გადაცემა.

რეინის რესპუბლიკის დაარსება, რომელსაც გაფაციცებით ამზადებენ პუანკარეს ფულებით მოსყიდული აგენტები, შესაძლებელია, დააჩქარებს ამ ამბებს.

არავის არ შეაქვს ეჭვი იმაში, რომ მდგომარეობა სერიოზულია. ფაშისტები ცალკე უმნიშვნელო ძალას წარმოადგენენ, მაგრამ მათ შეუძლიანთ იქონიონ ჯარის დახმარების იმედი. ბურჟუაზიის ყველა ფენები მზად არიან დაემორჩილონ მათ, კარგად იციან რა, რომ, თუ ბრძოლა დაიწყო, ორში ერთი უნდა იქნას არჩეული—ან ფაშიზმის, ან პროლეტარიატის დიქტატურა. მათ არ ეშინიათ სოციალ-დემოკრატიის, რომლის წინამძღოლები ან გაიქცევიან, ან დამორჩილდებიან.

ერთად-ერთი რეალური ძალა, რომელსაც შეუძლია იბრძოლოს პროლეტარიატის რიგებში, და რომელიც ამას ჩაიდენს, ვართ ჩვენ. ე. ი. კომუნისტური პარტია.

ჩვენი პარტია ხმარობს მაქსიმალურ ძალ-ღონეს, რათა ბრძოლისა და გამარჯვებისათვის გამოსადეგი გახადოს მუშათა კლასი. მან უკანასკნელი კვირეების განმავლობაში დიდი სიმპატიები და ნდობა მოიპოვა, მკითხველებსა და პირად შემადგენლობაში. ყველა ის, ვინც მას შეადგენს და მიჰყვება, პირველად ან უკანასკნელამდე, აღფრთოვანებული არის გადაწყვეტილებით წინააღმდეგობა გაუწიონ ფაშისტურ ძალების თავდასხმას. მისი დაუღალავი პროპაგანდა ამზადებს მუშების, მოსამსახურეთა, წვრილ მოხელეების მასებს თავდაცვითი მდგომარეობისათვის ფაშიზმის წინააღმდეგ და სცდილობს წვრილ ბურჟუაზიის განეიტრალებას ან მომხრობას.

ბრძოლა, რა თქმა უნდა, სასტიკი იქნება. მასში გადაწყდება ევროპის მუშათა მოძრაობის მომავალი ბედიღბალი.

მას ექნება დიდი მნიშვნელობა საფრანგეთის მუშათა კლასისათვის.

უკანასკნელს შეუძლია მოქმედება გაუადვილოს გერმანიის მუშათა კლასს მით, რომ გააორკეცოს თავისი ენერგია ბ-ნ პუანკარეს იმპერიალისტურ ზრახვების და სამთო კომიტეტის მტაცებლურ ინსტინქტის წინააღმდეგ. გააძლიეროს პროპაგანდა საოკუპაციო არმიაში და აგიტაცია გლეხებს შორის.

გერმანიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიმართა პარტიას მოწოდებით, რომელიც შეიცავს სწორ და საჭირო ინსტრუქციებს მოქმედების მოსამზადებლად.

შეთანხმების დროს ის თავის სადარაჯოზე იდგომება.

ა. ტალჰაიმერი.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

მოსკოვი. 1 აგვისტო. ერთა ლიგის გენერალური მდივანი საგარეო საქმეთა სახალხო კომისართა სახელზე გამოგზავნილ წერილში სთხოვს კომისარიატს მიაწოდოს ერთა ლიგის სატრანსპორტო კომისიას ცნობები რ. ს. ფ. ს. რ. ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე გაგზავნოს წარმომადგენლები ამ კომისიის ყრილობაზე ეს კომისია არ არის საერთაშორისო ორგანო, რომლის დაარსებასაც მოითხოვდა რუსეთის დელეგაცია გენუაში. ამას გარდა რ. ს. ფ. ს. რ. არ შედის საერთაშორისო რკინისგზათა კავშირში და მის ხელმძღვანელ ორგანოში. ამიტომ ერთა ლიგის წინადადება ცნობების მიწოდებისა და წარმომადგენლების გაგზავნის შესახებ უარყოფილ იქნა.

რუსეთი—მძლავრი ფაქტორია.

ჰელსინგფორსი. 1 აგვისტო. „შეფა კორააპილა“ სწერს: „კარელიის საკითხის მარცხი ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალში იმის დამამტკიცებელია, რომ რუსეთს მძლავრ ფაქტორად სთვლიან ევროპაში“.

რუსეთის ავტორიტეტს აღიარებენ.

ვენა. 31 ივლისი. რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დუკამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს რუსეთის ხელის მოწერას სრუტეების კონვენციაზე

შეთანხმება ს. ს. რ. კ. და ავსტრიას შორის.

ვენა. 31 ივლისი. ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიუნბერგმა და ს. ს. რ. კ. სრულუფლებიან წარმომადგენელმა ლევიცკიმ ხელი მოაწერეს შეთანხმებაზე, რომლის ძალითაც ს. ს. რ. კ. მისიას დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს რუსეთის საელჩოს სახლები მთელი ქონებით.

კიდევ ერთი.

ნიუ-იორკი. 30 ივლისი. ტენესის შტატის სენატორმა მაკ-კელ-არმა, რომელიც რუსეთში მიემგზავრება, რუსეთის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს, განაცხადა: ჩემი მოგზაურობის მიზანს შეადგენს შესწავლა საბჭოთა წესწყობილებისა, მიწის მოწყობისა, გადასახადთა სისტემა და სხ.

შეთანხმება ფინეთთან.

ჰელსინგფორსი. 31 ივლისი. ს. ს. რ. კ. სრულუფლებიან წარმომადგენელმა ჩერნიხმა და ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვენოლამ შეთანხმებას მიაღწიეს და ხელი მოაწერეს ოქმს, რომლის ძალითაც ს. ს. რ. კავშირის მოქალაქეებს ფინეთის წყლებში თევზის ჭერის უფლება ენიჭებათ.

გერმანიის ამბები

საბოლოვო დაღუპვის წინაშე.

ლონდონი. 2 აგვისტო. ბერლინიდან იუწყებიან, რომ გერმანია საბოლოვო დაღუპვისაკენ მიექანება. ფასების მუდმივმა ზრდამ კვლავ წამოაყენა ფინანსიური რეჟიმის საკითხი. მაგრამ, ცხადია, რეფორმა ვერ შემუშავდება, სანამ საბოლოვოდ არ გამოირკვევა საკონტრიბუციო საკითხი და ვიდრე გერმანიას არ დაუბრუნდება რური. ორივე ეს ფაქტორი აუცილებელი პირობაა მკვიდრი მდგომარეობის შესაქმნელად.

სასურსათო კრიზისი.

ბერლინი. 2 აგვისტო. კანცლერ კუნოს თათბირი ჰქონდა სამიწადმოქმედო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან დიდი ქალაქების სურსათით მომარაგების შესახებ. ქალაქებში სურსათ-სანოვაგის ნაკლებულობა თანდათან იზრდება.

პოლიციას ამზადებენ.

პარიზი. 2 აგვისტო. დრეზდენიდან იტყობინებიან: ელგებირგის ქარხნების ადმინისტრაციისა და მუშების უთანხმოების გამო, შინაგან საქმეთა მინისტრმა განკარგულება გასცა მილიციის გაძლიერების შესახებ.

პურის ბარათების გაუქმება.

პარიზი. 2 აგვისტო. ბერლინიდან გადმოგვცემენ, რომ იქ 15 სექტემბრიდან უქმდება პურის ბარათები.

სიძვირე.

პარიზი. 2 აგვისტო. ოფიციალური სტატისტიკური ცნობებით, გერმანიაში ამ ჟამად ცხოვრება 1913 წელთან შედარებით 712,76—ჯერ გაძვირებულია.

სახელმწიფო სესხის გამოშვება.

პარიზი. 2 აგვისტო. გერმანიის მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, რომ გამოუშვებს 500 მილიონ ოქროს მარკის სახელმწიფო სესხს, 12 წლის ვადით. სესხზე ხელის მოწერა 15 აგვისტოს დაიწყება.

ბავარიის ლანდტაგში.

პარიზი. 2 აგვისტო. ბავარიის ლანდტაგმა მიიღო სახალხო პარტიის წინადადება იმის შესახებ, რომ ბავარიის მთავრობამ მოლაპარაკება დაიწყოს სრულიად გერმანიის მთავრობასთან, რათა ბავარიის რკინის გზები ბავარიის განკარგულებაში გადავიდეს.

საკონტრიბუციო საკითხი

საფრანგეთი და ბელგია არ ეთანხმებიან ინგლისს.

ლონდონი. 31 ივლისი. ბრიტანეთის კაბინეტი იხილავს საფრანგეთისა და ბელგიის პასუხს, „დეილი ტელეგრაფ“-ის აზრით, პუანკარეს პასუხი ამტკიცებს იმას, რომ მას მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი უარჰყოს ინგლისის წინადადება. ბელგიის ნოტა ეთანხმება პუანკარეს შეხედულებას რურის საკითხის შესახებ, მაგრამ არ ეთანხმება ინგლისის თვალსაზრისს მარკის სტაბილიზაციის აუცილებლობისა და გერმანიის ფინანსებისათვის მხარის დაჭერის შესახებ.

მდგომარეობა სერიოზულია.

პარიზი. 31 ივლისი. **საფრანგეთის საზოგადოებრივი წრეები აღიარებენ, რომ მდგომარეობა სერიოზულია, ვინაიდან სრული უთანხმოება სუფევს პუანკარესა და ბალდვინს შორის.** რადიკალური წრეები ღმობიერად არიან განწყობილნი ბელგიისადმი, რომელიც მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში იმყოფება და რომელსაც არ სურს ბრმად გაჰყვეს პუანკარეს პოლიტიკას. სინდიკალისტურ და რეფორმისტულ წრეებში აშკარად აცხადებენ, რომ **საფრანგეთსა და ინგლისს შორის შეუძლებელია შეთანხმება.** გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა სერიოზულად აფიქრებს საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებს. ნაციონალური ბლოკი ადიდებს ზევერინგს, რომელმაც მოახერხა კომუნისტების „დამარცხება“ ჯარების დაუხმარებლად. კომპარტია აღნიშნავს რა საფრანგეთის პოლიტიკის საშიშროებას რურში, ეწევა გაძლიერებულ პროპაგანდას გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ.

ელჩების თათბირი კერზონთან.

რომი. 2 აგვისტო. კერზონმა რიგრიგობით მიიწვია იტალიისა, საფრანგეთისა და ბელგიის ელჩები, რომლებთანაც ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა.

არ არის შეთანხმების იმედი.

ლონდონი. 2 აგვისტო. საფრანგეთის და ბელგიის მთავრობების საპასუხო ნოტების შინაარსი საიდუმლოთ ინახება. მაგრამ ავტორიტეტულ წრეებში გამოსთქვამენ აზრს, რომ ორივე პასუხი შეთანხმების ძალიან ცოტა იმედს იძლევა. **სიტის წრეებში გაბატონებულია ის აზრი, რომ ვაჭრობის მძიმე მდგომარეობა არ შეიცვლება მანამ, სანამ არ გადაწყდება საკონტრიბუციო საკითხი. ამის გამო სიტის წრეებში დიდი მღელვარება ემჩნევა.** მოელიან ინგლისის მთავრობის დეკლარაციას ორივე პალატაში. დეკლარაციას დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

მთავრობის დეკლარაციის მოლოდინში.

ლონდონი. 2 აგვისტო. მთავრობის დეკლარაციას ინგლისის ორივე პალატაში მოუთმენლად ელიან. ამ დეკლარაციაში კაბინეტი გამოსთქვამს თავის შეხედულობას საფრანგეთის და ბელგიის შენიშვნებზე გერმანიისათვის გადასაცემ ინგლისის პასუხის პროექტის გამო. დეკლარაციის მიუხედავათ მოკავშირეთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა საკონტრიბუციო საკითხში გაგრძელდება წინანდებურად და საიდუმლოთ იქნება დაცული. მაკდონალდის შეკითხვის საპასუხოთ. თემთა პალატაში მთავრობამ განაცხადა, რომ ჯერჯერობით შეუძლებელია რისიმე თქმა წარმოებულ მოლაპარაკების შესახებ.

იმედი არ არის.

ბერლინი. 2 აგვისტო. მიუხედავათ ორი სხდომისა ინგლისის კაბინეტი ვერ შეთანხმდა საკონტრიბუციო საკითხში. თითქმის არავითარი იმედი არ არის საფრანგეთთან შეთანხმებაზე.

ინგლისის „თეთრი წიგნი“.

ბერლინი. 2 აგვისტო. რადგან ინგლისის და საფრანგეთის შეთანხმება თითქმის შეუძლებელია, ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა გამოაქვეყნოს „თეთრი წიგნი“, რომელიც შეიცავს ყველა მოკავშირეების მიერ ერთმანეთისადმი გაგზავნილ მასალებს საკონტრიბუციო საკითხში.

სეპარატიული პასუხები.

პარიზი. 2 აგვისტო. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ინგლისის წრეებში არავითარი იმედი არ აქვთ გერმანიისათვის ერთიანი საკავშირო ნოტის გაგზავნის. ფიქრობენ, რომ თუ ინგლისი გაუგზავნის გერმანიას სეპარატიულ პასუხს, იგი იქნება შედგენილი იმნაირად, რომ საფრანგეთს შეეძლოს მისი გაზიარება.

საიდუმლო დიპლომატია.

რომი. 2 აგვისტო. ბალდვინმა განაცხადა თემთა პალატაში, რომ თუმცა საფრანგეთის და ბელგიის პასუხები, მიღებულია, არ შეიძლება იქნას გამოქვეყნებული, რადგან ორივე პასუხი წარმოადგენს იმ საიდუმლო მოლაპარაკების გაგრძელებას, რომელიც მოკავშირეთა შორის სწარმოებს.

ოკუპაციის გარშემო

კატორღაში აგზავნიან.

ბერლინი. 31 ივლისი. გერმანიის ქვეშევრდომებს მაინცში, რომელთაც სიკვდილით დასჯა უვადო კატორღით შეუცვალეს, ამნისტიის ძალით, აგზავნიან კაიენში (საფრანგეთის კოლონიის გვიანას მთავარ ქალაქში).

ფულების ხელში ჩაგდება.

ბერლინი. 2 აგვისტო. გუშინ ფრანგებმა ნეივიდში რეიხსბანკის განყოფილებაში ხელში ჩაიგდეს 40 მილიარდი მარკა. სამშაბათს ფრანგებმა ლითონის ჩამომსხმელ ქარხნის სალაროდან წაიღეს 17 მილიარდი მარკა.

ნახშირის ამოღება კლებულობს.

ბერლინი. 2 აგვისტო. „ჟურნალ ინდუსტრიალ“-ის ცნობებით, ამ ჟამათ ნახშირის ამოღება რურის ოლქში იანვართან შედარებით შემცირდა 15 პროცენტით.

მატყლის დამზადების საკითხი *)

ეს არის დასრულდა გაზაფხულის მატყლის დამზადება ამიერ-კავკასიაში, რაც ცოტა დაგვიანდა მაისის თვის სიცივების გამო. დაინტერესებული ორგანიზაციები უკვე შეუდგენ შემოდგომის მატყლის შესყიდვას. გამორკვეული ატმოსფერა ყიდვის ოპერაციებისა გვაძლევს საფუძველს კვლავ შევეხოთ შემდეგ საკითხს, რომელიც არა ერთხელ ყოფილა წამოყენებული ჩვენს მიერ, როგორც პრესაში, აგრეთვე საპასუხისმგებლო კრებებზე.

მატყლით ოპერაცია მეტად რთული და სერიოზული საქმეა, ახლო ეხება სასოფლო მეურნეობის და ქსოვილების წარმოების ინტერესებს, და ამიტომ უნდა ჩაითვალოს საყურადღებო საგნათ შინაგან და გარეშე ვაჭრობის სახელმძღვანელო ორგანიზაციებისათვის.

ომის წინ ვაჭრობა მატყლით წარმოებდა კერძო ფირმების საშუალებით. ეხლა კი, ვინაიდგან ცხადია უდიდესი მნიშვნელობა ამ დარგისა სახელმწიფოსათვის, საჭიროა კერძო პირების გადაყენება და საქმის მთლიანად დაპატრონება სახელმწიფოს მიერ.

წლევანდელ სეზონში აღინიშნა აჟიოტაჟი ამიერ-კავკასიის მატყლის ბაზარზე. მონოპოლია, რომელსაც ჰქონდა თავისი raison d'etr 1921 წელს, მეტად აფერხებდა, როგორც მეცხვარეების წარმატებას, აგრეთვე მის ნაყოფით ვაჭრობას. ამიტომ მის აცილებამ მოიტანა ის შედეგი, რომ მატყლის დამზადებას შეუდგენ აუარებელი რიცხვი ორგანიზაციებისა და კერძო პირებისა. მრავალ მათგანს თითქმის არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდათ ამ საქმეზე. სავსებით ნორმალურმა და ჩვეულებრივმა (და ხშირათ კიდეც აუცილებელმა) კონკურენციამ მიიღო ამა წელს მახინჯი ფორმა. სახელმწიფო და კოოპერატიული, მატყლის შემსყიდავი ორგანიზაციები გამოდიოდნენ სრულიათ უგეგმოთ და ერთმანეთთან შეუთანხმებლად, რის გამოც ძალიან უშლიდნენ ერთმანეთს ხელს. მხოლოთ „ცენტროსოიუზის“ და „ზაკგოსტორგის“ შუა არსებობდა შეთანხმება ლიმიტიურ ფასებში და რაიონების დაყოფის მხრივ. იმის გამო, რომ ეს ორგანიზაციები მუშაობდნენ შეთანხმებით, მათ შორის არა ყოფილა არავითარი გაუგებრობა და ამიტომ ორთავემ დაამთავრა კამპანია წარმატებით.

ამ სეზონს ახასიათებდა კიდევ ის მოვლენა, რომ ბაზრები სავსე იყო კერძო პირებით—შუა კაცებით, რომლებმაც საშინლათ ასწიეს ფასები.

ხშირი იყო შემთხვევები, რომ ეს კერძო პირები სტაცებდნენ მეცხვარეებს მატყლს, რომელიც უკვე დაბევებული იყო სხვა ორგანიზაციების მიერ, რის გამოც მრავალი მეცხვარეები ველარ ასრულებდნენ თავიანთ პირობებს, სახელმწიფო დაწესებულებასთან დადებულს, მათ ედებოდათ დიდი ვალი და ხშირათ საქმე გადადიოდა სასამართლოში. რუსეთის ზოგიერთი ორგანიზაციების წარმომადგენელნი, ადგილობრივ პირობების უცოდინარობის გამო, ჩაცვივდნენ ამ კერძო პირთა ხელში ამათ ისარგებლეს მათ უცოდინარობით, აუარებელი ფული მოიგეს მათზე და ასწიეს თავიანთი ფასი მატყლზე. ამას გარდა ეს კერძო პირნი დაწესებულებიდან ავანსათ აღებუ ფულს წინდაწინვე აძლევდნენ მეცხვარეებს რამდენიმე სეზონისთვის და ამგვარად ისინი უზრუნველ იყვნენ მომავალში მატყლის მხრივ. ისინი სცდილობენ შეეჯიბრონ სახელმწიფო დაწესებულებებს და კოოპერაციებს და წაართვან მათ თავიანთ სასარგებლოთ დიდი პროცენტი.

ამნაირი მდგომარეობა უნდა ვცნათ არანორმალურათ და აუცილებლათ საჭიროა მოეღოს ამას ბოლო. არა კერძო პირებმა უნდა ისარგებლონ სახელმწიფოთი თავიანთ მიზნებისთვის, არამედ სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ისინი თავის ამოცანების შესასრულებლად.

ამგვარ პირობების გამო, მრავალ ორგანიზაციებმა ვერ მოახერხეს მატყლის განზრახულ რაოდენობის შეკრება და ამიტომ ისინი ვერ შესძლებენ დაფარონ ხარჯი, გამოწვეული ამ ოპერაციით.

არა ნაკლებ საჭიროებას წარმოადგენს მოსპობა იმ აუარებელ სახელმწიფო-კომერციულ აპარატებისა, რომლებიც აწარმოებენ სავსებით ერთ და იმავე ოპერაციას—მატყლის შესყიდვას. ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ნაწილებში არის არა ნაკლებ 20 სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისა, რომლებიც ყიდულობენ მატყლს, მხოლოდ საქართველოს საძოვრებზე მოქმედობდა 10 ორგანიზაცია, მრავალ კერძო პირების გარდა. ამის გამო უპირველესათ ყოვლისა უნდა დაისვას საკითხი ამ ორგანიზაციების შეერთებისა ერთ ცენტრალურ კომერციულ აპარატათ. ამ ცენტრალურ აპარატს უნდა ჰქონდეს დიდი სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალი, რომ შესძლოს ამიერ-კავკასიის მთელ ტერიტორიაზე მუშაობა. ხომ სრულებით მიზანშეუწონელია სახელმწიფოსთვის ამოდენა ხარჯის გაღება რამოდენიმე ორგანოებზე ერთ და იმავე რაიონში და ერთ და იგივე მიზნისთვის, მაშინ როცა შეიძლება შეიქმნას ერთი ორგანო, რომელსაც სხვა ორგანოები არ შეუშლიან ხელს, როგორც ეხლა, უფრო ნაყოფიერ მუშაობაში, და ამასთანავე საგრძნობლივ შემცირდება საორგანიზაციო ხარჯები. ჩვენ აუცილებლად უნდა ვცდილობდეთ შევამციროთ ხარჯები წარმოებაში, ჩვენ საწარმოვო მექანიზმის გონიერ განმარტების საშუალებით.

ბევრი ზედმეტი ხარჯი საქსოვ წარმოებაში ამცირებს სახელმწიფოს მოგების პროც. და ამასთანავე თხოულობს საბრუნავ კაპიტალის გადიდებას. ყველაფერი ეს აძვირებს დაუმუშავებელ მასალას და ფაბრიკატებს და, რა თქმა უნდა, ამის სიმძიმეს განიცდის მისი მომხმარე მასსა.

ყოველივე ამას გარდა, მატყლით ვაჭრობის საქმეში არის მრავალი მომენტები, რომელნიც შეიძლება იქნან გათვალისწინებულნი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაარსდება, ჩვენ მიერ წამოყენებული, ავტორიტეტული დიდი სააქციონერო საზოგადოება და თუ აცილებული იქნებიან ის დეფექტები, რომლებიც გამოწვეული იყვნენ არანორმალურ კონკურენციის ატმოსფერით. ამ შემთხვევაში სახელმწიფო შესძლებს ფაქტიურად ხელმძღვანელობა გასწიოს მატყლის ფასის პოლიტიკაში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეცხვარეობისა, საქსოვ წარმოებისა დამხმარებისთვის. მეცხვარეობის გაუმჯობესების და გაფართოვების საკითხი მიიღებს რეალურ ფორმებს, ვინაიდგან სააქციონერო საზოგადოება, რომელსაც ექნება საკმარისი თანხა ხანგრძლივ ვადით გასაცემათ, გასამრავლებელ პუნქტების დასაარსებლად და სხვა შესძლებს იმ პრობლემასთან უფრო ახლოს მიდგომას, რომლის გადაჭრა უქადის დიდ მომავალს ამიერ-კავკასიის მემცხვარეობას. ამ საშუალებით სააქც. საზოგადოება უფრო დაუახლოვდება მეცხვარეებს და მათ ინტერესებს. ის შესძლებს შეაერთოს მეცხვარეები საღ კოოპერატიულ ერთეულათ და აიცილოს ის დეფექტები, რომლებიც არსებობენ. აწმყოფ მეცხვარეთა საზოგადოებებში, „ბირლიკში“ და „მწყემსში“ საზოგადოებამ „მწყემსმა“ განიცადა მრავალი ცვლილება და მხოლოთ ეხლა, რეორგანიზაციის შემდეგ, დაიწყო თავის ოპერაციის მოწესრიგება. წარსულმა მმართველობამ სავსებით დაუკარგა პრესტიჟი საზოგადოებას და მწარმოებლებს. მეორე საზოგადოების „ბირლიკის“ მმართველობაში შეიპარნენ საეჭვო პირნი და მოქმედობა მათი იმგვარია, რომ „ზაკგოსტორგს“ მოუხდა მათი მიცემა სისხლის სამართალში. ეს პირები უსათუოდ უნდა მოშორდნენ მეცხვარეებს და მათ მიეცეთ საუკეთესო ხელმძღვანელები, რომლებიც შესძლებენ გლეხებს ჩაუნერგონ კოოპერატიულ ორგანიზაციებისადმი ის რწმენა, რომელსაც ის უნდა იმსახურებდეს.

ასევე დიდი მნიშვნელობა ექნება სააქციონერო საზოგადოების შეკრებილ მატყლის საექსპორტოთ დამზადებისთვის (სტანდარიზაცია).

მრავალ ორგანიზაციებს გააქვთ მატყლი დაუმზადებელი და დაუწყობელი და ვინაიდგან ისინი არ ასრულებენ პირობებს საერთაშორისო ვაჭრობისას, ფასი და მარკა ჩვენი მატყლისა ეცემა. მომავალი სააქციონერო საზოგადოება, რომელმაც ფაქტიურად უნდა ჩაიგდოს მთელი ექსპორტი მატყლისა ამიერ-კავკასიიდან, მოიწვევს ამ საქმისთვის საუკეთესო ძალებს, ბაზარზე გამოუშვებს მხოლოდ ექსპორტისთვის დამზადებულ მატყლს.

მიუხედავათ იმისა, რომ სიგვიანის გამო ეს საზოგადოება მატყლის შესყიდვაში მონაწილეობას ვერ მიიღებს, მაინც მის ორგანიზაციას დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეთ, ვინაიდგან გაზაფხულის სეზონის დაწყებამდის მოგველის დიდძალი ორგანიზაციული მუშაობა.

მსგავს საზოგადოების შექმნის ეკონომიური მიზანშეწონილება, სპეციალურ კომერციულ საწარმოო ამოცანებით, უკვე აღიარებულია სახელმძღვანელო ორგანოების მიერ და ზოგიერთი საზოგადოებები უკვე დაარსებულა „ზაკვნეშტორგის“, „ზაკგოსტორგის“, „ცენტროსოიუზის“ და სხვა ორგანიზაციების თაოსნობით. ამგვარია, მაგალითად, საზოგადოება „ბიან“ ძირტკბილის შესაკრებად და დასამუშავებლად; „ზაკტაბაკი“, რომლის მართველობა სოხუმშია; „ზაკუტილსირიო“ ნაწლავების შესასყიდათ დასამზადებლათ და სარეალიზაციოთ. ახლო მომავალში დაარსებულ იქნება საზოგად. „ზაკშოლკი“.

სააქციონერო საზოგადოების წევრებათ უნდა მოწვეულ იქნან ყველა დაინტერესებული ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ დიდი კაპიტალი და აგრეთვე ისეთებიც, რომელნიც გაჭირებას განიცდიან მცირე კაპიტალის გამო, მაგალითად, საზოგადოებაში უნდა შევიდნენ: „ზაკგოსტორგი“, „ცენტროსოიუზი“, ამხ. „მატყლი“, რესპუბლიკანური „ტორგები“ და კოოპერატიული გაერთიანებანი, მეცხვარეთა საზოგადოებები (ეს უკანასკნელები მათი სახელმძღვანელო ორგანოების გაწმენდის და თავიანთ კოოპერატიულ გაერთიანებათა უფრო რაციონალურ და ჯანსაღ საფუძვლებზე რეორგანიზაციის შემდეგ) და სხვ.

ეს საკითხი მეტად საჩქაროა და სასურველია, რომ ამხანაგებმა გამოსთქვან ამის შესახებ თავიანთი აზრი.

ნ. ამირაღოვი.

---

*) სადისკუსიო.

სინაის კონფერენცია

პოლონეთი უარყოფს.

ვენა. 31 ივლისი. უცხოეთის პრესის ცნობების თანახმად, სინაის კონფერენციაზე სჭარბობენ რუმინეთის პოლიტიკური ინტერესები: პოლონეთის წარმომადგენელი იურბევიჩი უარყოფს პოლონეთის განზრახვას მცირე ანტანტაში შესვლის შესახებ, აღნიშნავს რა, რომ პოლონეთი სცდილობს მხოლოდ შეუფარდოს მას თავისი პოლიტიკა.

კონფერენციის გადაწყვეტილებანი.

ვენა. 31 ივლისი. კონფერენციაზე გადაწყდა ხელი შეუშალონ გერმანიის, ავსტრიის, ჰუნგრეთის და ბულგარეთის გაერთიანებას. კონფერენციი განიხილავს აგრეთვე საკითხს დუნაიზე შეიარაღებულ ძალების შენახვის შესახებ. ჩეხეთის წრეებში ყველაზე მისაღებად სთვლიან ინგლისის წინადადებას, რომელიც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ ერებს იყოლიონ საზღვაო ძალები დუნაიზე, რაც უზრუნველყოფს ჩეხეთის გასვლას შავ ზღვაზე. რუმინეთის პრესის ცნობით, პოლონეთმა მიმართა რუმინეთს და სამხრეთ სლავიას თხოვნით იკისრონ შუამავლობა ჩეხო-სლოვაკიას და პოლონეთ შორის აღძრულ დავაში იავორინის საკითხის შესახებ.

ჩინეთი

ჩინეთის კომპარტიის აღმასკომის მოწოდება.

პეკინი. 31 ივლისი. ჩინეთის კომპარტიის აღმასკომი თავის დეკლარაციაში აღნიშნავს, რომ ცაო-კუნას სახელმწიფოებრივი გადატრიალებას ხელს უწყობენ ამერიკის იმპერიალისტები. ცაო-კუნას მიერ მოსყიდულ პარლამენტს არ აქვს ხალხის წარმომადგენლობის უფლება. პარლამენტმა კიდეც რომ შეიმუშავოს კონსტიტუცია და აირჩიოს პრეზიდენტი, ხალხი არ სცნობს მას. კომპარტია მოუწოდებს ცაო-კუნას წინააღმდეგ საბრძოლველად და მოითხოვს მოწვეულ იქნას სტუდენტების, მიწის-მუშების, ვაჭრების და პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლების ეროვნული კონგრესი გომინდანის პარტიის ხელმძღვანელობით, კონსტიტუციის შესამუშავებლად და ქვეყნი გასაერთიანებლად ახალ პრეზიდენტის არჩევის მიზნით. მოწოდება შემდეგი სიტყვებით თავდება. „**ძირს იმპერიალისტები, რომელნიც** სარგებლობენ მილიტარისტებით ჩინეთის გასაყვლეფად. ძირს მილიტარისტები, რომელნიც იმპერიალისტებთან ერთად სჩაგრავენ ჩინეთის ხალხს“.

სხვადასხვა ამბები

სამხრეთ-სლავია.

კომუნისტის კანდიდატურას აყენებენ.

ვენა. 31 ივლისი. სამხრეთ-სლავიის დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ თავის სიაში კანდიტატათ ადგილობრივ თვითმართველობაში შეიტანა ციხეში მყოფი კომპარტიის წევრი ფილიპოვიჩი.

საფრანგეთი.

ჟორესის სიკვდილის წლის თავი.

პარიზი. 31 ივლისი. ჟორესის სიკვდილის წლის თავზე საფრანგეთის კომპარტიის მიერ მოწყობილი სახალხო კრებები დიდის წარმატებით ჩატარდა. მარტის, რომელიც პარიზში გამოვიდა, ოვაციებითა და ინტერნაციონალის სიმღერით შეხვდენ ჟორესისადმი მიძღვნილ სიტყვაში მარტიმ აღნიშნა ბურჟუაზიული საზოგადოების დაშლა და განაცხადა, რომ ის ამაყობს იმით, რომ მას მოუხდა ტანჯვა გადაეტანა რუსეთის რევოლიუციისათვის.

კომპარტიასთან ერთად.

პარიზი. 31 ივლისი. მელითონეთა პროფკავშირების ეროვნულ კონგრესზე, რომელნიც შრომის უნიტარულ ფედერაციას ემხრობიან, 113 სინდიკატი 22 წინააღმდეგ მიემხრო სემარის რეზოლიუციას კომუნისტურ სინდიკალურ კომისიების დაარსების შესახებ. 96 ხმით 25 წინააღმდეგ მიღებულ იქნა სენის ფედერაციის წინადადება, რომლის მიხედვითაც საფაბრიკო.საქარხნო კომიტეტებში შესვლა შეუძლია ყველა მშრომელთ.

ფეიქრები მელითონეებს მიემხრენ.

პარიზი. 31 ივლისი. ფეიქრების კონგრესმა ყველა ხმების უმრავლესობით (ერთმა თავი შეიკავა) მიიღო სემარის რეზოლიუცია კომუნისტურ სინდიკალურ კომისიების დაარსების შესახებ. მელითონეებისა და ფეიქრების კონგრესებმა, დაამტკიცენ საფრანგეთის პროფკავშირეების სურვილი იმუშაონ პროფესიონალურ ორგანიზაციების პრაქტიკულ განვითარების სასარგებლოთ.

ინგლისი.

პროფდისციპლინის დარღვევისათვის.

ლონდონი. 31 ივლისი. დიდი სენსაცია გამოიწვია დღეს ტრედ-უნიონების კონგრესიდან ფეიქრებისა და დამრთავთა კავშირის გამორიცხვამ; გამორიცხვა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ კავშირმა უარი სთქვა გადაეხადა თვითეულ კაცზე წელიწადში ორი პენსის დამატებითი გადასახადი მუშათა გაზეთ „დეილი გერალდ“-ის სასარგებლოდ. კონგრესი საწევრო გადასახადის გადიდებას თავის უფლებათ სთვლის. ამ რიგათ ის კავშირი, რომელიც არ გადიხდის დაწესებულ თანხებს, კონგრესში ვერ შევა. გამორიცხულ კავშირს 70 000 წევრი ჰყავს.

ბულგარეთი.

ბულგარეთის მთავრობის განცხადება.

ვენა, 31 ივნისი. ბულგარეთის პრემიერმა ცანკოვმა გამოაქვეყნა მთავრობის განცხადება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ბულგარეთს განზრახვა აქვს სისწორით შეასრულოს საზავო ხელშეკრულება. მთავრობა მოწოდებით მიმართავს მემარჯვენე და მემარცხენე პარტიებს მხარი დაუჭირონ მთავრობას, რათა საშუალება არ მიეცეთ აგრარიებს მოახდინონ გადატრიალება.

დატუსაღებული კომუნისტები გაანთავისუფლეს.

ვენა, 31 ივლისი დატუსაღებული კომუსტები კოლაროვი და დიმიტრიევი, და აგრეთვე პლევნის კომუნისტების დამცველები, განთავისუფლებული არიან ციხიდან.

კომუნისტების დევნა.

ვენა, 31 ივლისი. „რაბოტნიჩესკი ვესტნიკის“ ცნობებით, გადატრიალების დროიდან პლევნას ციხეში ზის 93 კომუნისტი, კარლოვში—103, ტროვში—78 გაბრევოში—88 და სხვა ადგილებში რამდენიმე ათეული კომუნისტი.

ლატვია.

პოლიტიკურების შიმშილობა.

რეველი. 31 ივლისი. საგამომძიებლო ციხეში დამწყვდეულ პატიმრების გარდა შიმშილობა გამოაცხადეს აგრეთვე რეველის ცენტრალურ ციხის 160 პატიმარმა.

ყველაფერი რიგზე არ არის.

რიგა. 30 ივლისი მემარჯვენე გაზეთი „ლატვიას სარკს“ სწერს: „ლატვიის ეხლანდელ მმართველების დროს სამშობლო კარიერისტებით არის გარშემორტყმული, რომელნიც მიეკრენ ხალხის სხეულს, როგორც პარაზიტები. სახალხო ქონება პარტიის მიერ წამოყენებულ პირების ხელში გადადის. ეხლანდელი მმართველების მადა საშინლათ იზრდება და ჩვენ საერთო სამშობლოს გადაყლაპვის საშიშროების წინაშე გვაყენებს, რომელიც ჩვენს მეპატრონეთ უყვართ იმდენათ, რამდენათაც ის მაძღარ ცხოვრების საშუალებას აძლევსთ მათ“.

ბელგია.

სინდიკალურ კომისიის არსებობის 25 წლის თავი.

რიგა 30 ივნისი, ბელგიის სინდიკალურ კომისიის 25 წლის იუბილეს გამო, ბრიუსელში გაიმართა მანიფესტაცია 100.000 კაცის მონაწილეობით.

ესტონეთი.

შიშს დიდი თვალები აქვს.

რეველი. 31. ივლისი. ესტონეთის მუშათა ორგანიზაციები 29 ივლისიდან 5 აგვისტომდე აწყობენ „პროლეტარულ ბავშვთა კვირეულს“.

პოლიციამ აკრძალა კვირას ბავშვთა მანიფესტაციები და ნება დართო მიტინგები ქალაქ გარედ. მიტინგზე გამოვიდენ ბავშვები სიტყვებით და წაიკითხეს თავიანთი ლექსები.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

მემალაროეთა გაფიცვების წინ

ბერლინი. 1 აგვისტო. მემალაროეებს და მწარმოებელთა შორის მოლაპარაკების უშედეგოთ დამთავრების გამო, რომელიც შეეხებოდა ხელფასის მომატებას, ამერიკის 150,000 მალაროში მომუშავე გაფიცვით იმუქრება.

ლატვია

მუშების დაპატიმრება.

რიგა. 28 ივლ. ლატვიაში გრძელდება მუშების მასიური დაპატიმრება. დვინსკში დაპატიმრებულია 50-დე კაცი. მიტავაში გაჩხრიკეს პროფკავშირების ბინა, დაპატიმრებულია 15 კაცი.

ინგლისი

განაგრძობენ ბრძოლას.

ლონდონი. 30 ივლისი. გულლის ნავთსადგურის მუშებმა განაახლეს მუშაობა. **ბრძოლას განაგრძობე მხოლოდ ლონდონის ნავთსადგურის მუშები, რომელთაც გუშინ მოაწყეს მასიური დემონსტრაცია, რითაც დაამტკიცეს, რომ მუშაობას არ დაუბრუნდებიან.**

მენშევიკური პარტია აღსასრულის წინ

ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომელიც ჩემზე მეტს იწველისო

ყოველ პოლიტიკურ ბრძოლას უნდა ქონდეს გამარჯვების იმედი მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი შეიცავს გულწრფელობს ელემენტებს და სარგებლობის თანაგრძნობით მასაში.

მაგრამ ის ბრძოლა, რომელსაც მენშევიკები აწარმოებდენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ვერასოდეს ვერ დასრულდება გამარჯვებით, რადგან მასში არის თვალთმაქცობის ელემენტები.

ჩემს ხელთ არის მეტად საინტერესო დოკუმენტი:

ბრალდებები, რომელიც წამოაყენა მენშევიკების ერთმა ჯგუფმა ლონდონში საქართველოს ბოლშევიკურ მთავრობის წინააღმდეგ.

1. დაპატიმრებულებს აწამებენ „ჩეკას“ ჯურღმულებში;

2. ამ წლის დასაწყისში მხოლოდ ერთ ღამეს ტფილისში დახვრეტილ იქმნა 92 კაცი—მასწავლებლები, ინტელიგენციის, გლეხების და მუშების წარმომადგენლები;

3. გურიაში დახვრეტილ იქმნა 300 კაცი, გლეხებს არ აძლევდენ ნებართვას დაემარხათ დახოცილთა გვამები, ჰყრიდენ რა მათ შარა-გზაზე ძაღლებისათვის საძიძგნავად;

4 მაისის დასაწყისში დაპატიმრებულთა ერთი ჯგუფი, რომელთა შორის იყვენ მძიმე ავადმყოფნიც, გაგზავნილ იქნა ჩრდილოეთ რუსეთში;

5. 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, დაპატიმრებული იქნა 300 კაცი;

6. ეკლესიები შელანძღულია და სამღვდელოებას აპატიმრებენ;

7. სამღვდელოებას აწამებენ ციხეებში.

ჰკითხულობ ამ დოკუმენტს და გაკვირვებაში მოდიხარ:—რა უნდოდათ ამით ეთქვათ ჩემს ყოფილ პარტიულ ამხანაგებს!?

არა ერთხელ ყოფილა გაბათილებული, რომ „ჩეკაში“ არავის არ აწამებენ!

მე განგებ გამოვკითხე, ციხიდან განთავისუფლებულ ამხანაგებს, შევსთხოვე ეთქვათ, თუ რამდენად მართალია ხმები „ჩეკას“ ჯურღმულებში წამების შესახებ.

ისინი სრულიად გულწრფელად მიპასუხებდენ მე:

— მართალია, „ჩეკას“ საკანში უფრო ცუდია, ვიდრე ციხეში, მაგრამ არავითარ წამებას იქ ადგილი არ აქვსო.

ასე ამბობენ ყოფილი პატიმრები, მაგრამ ჩემი ყოფილი ამხანაგები სულ სხვაგვარად აშუქებენ ფაქტებს.

92 კაცის დახვრეტა! მართალია, დახვრეტილი იქმნა 92 კაცი. მაგრამ ვინ იყვენ ისინი? ბანდიტები, გამოუსწორებელი პირები.

ისეთ პირობებში, როდესაც გარშემორტყმული ხარ მტრებით, სხვანაირად არ შეიძლება მოქცევა.

საბჭოთა ხელისუფლება კი მტრებითაა გარშემორტყმული.

და თუ მუშებმა და გლეხებმა შეინარჩუნეს ძალა-უფლება, ის მოხდა სწორედ ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონერთა წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიულ ზომების წყალობით.

გურიაში 300 კაცის დახვრეტის შესახებ თურმე საზღვარ-გარეთ იციან, მაგრამ ჩვენ საქართველოში არაფერი არ ვიცით.

საკვირველია როგორ დახვრიტეს 300 კაცი ისე ფარულად, რომ ვერავინ დაინახა, საქართველოში ვერავინ ვერ გაიგო.

ეს საიდუმლოებაა, რომელიც იციან მხოლოდ საზღვარ-გარეთელმა ყოფილმა ამხანაგებმა.

ბრალდების მეოთხე მუხლი—ეს მთლიანად სისულელეა.

ჩრდილოეთ რუსეთში დაპატიმრებულთა გაგზავნის წინ დანიშნული იყო სპეციალური კომისია. და მთავრობის თავმჯდომარე ამხ. ქავთარაძე მივიდა ციხეში და მოუსმინა ჩრდილოეთ რუსეთში გასაგზავნელებს და ყველა ავადმყოფები მან დასტოვა აქ.

ვისთვის იყო საჭირო ასეთი შეუმოწმებელი ინფორმაცია?!

რატომ არ აღნიშნეს სახელმწიფოების ისტორიაში უჩვეულო შემთხვევა, როდესაც თვით მთავრობის თავმჯდომარეს ინახულა დაპატიმრებულნი?

იყო თუ არა ასეთი შემთხვევები ჩვენ დროს?

დაპატიმრებანი 26 მაისს. მართალია იყო დაპატიმრებული რამდენიმე ასეული კაცი, უმთავრესად მოწაფეები, და ინტელიგენცია. შოვინისტურმა ინტელიგენციამ წააქეზა მოწაფეები მენშევიკების ლოცვა-კურთხევით გამოსულიყვენ ამ დღეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. უკანასკნელს არ შეეძლო არ დაეპატიმრებია ისინი, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ გაანთავისუფლა.

რა თქმა უნდა დიდი სისულელე იქნებოდა საშვალება მიეცათ ამ ჯგუფისათვის გამოსულიყო მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მაშ რაღა არის პროლეტარიატის დიქტატურა?

მაგრამ არც ერთი მუშა ამ დღეს არ გამოსულა დემონსტრაციაზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც ფრიად დამახასიათებელია და ამას საჭიროა ხაზი გაესვას...

მე ვიძლევი კითხვას:

განა ცოტანი დავხვრიტეთ ჩვენ მენშევიკების ხელისუფლების დროს?

მოიგონეთ დუშეთი, ოსეთი, ალექსანდრეს ბაღი და სხვა.

განა ცოტანი გადავასახლეთ ჩვენ? განა ცოტანი დავაპატიმრეთ?

გავიხსენოთ 1920 წლის 1 მაისი!

კომუნისტების ცემა-ტყეპა ამ დღეს!

დახვრეტა და ცეცხლში დაწვა კომუნისტების ქუთაისში და სხვა.

— „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომელიც ჩემზე მეტს იწველისო“.

გადავიდეთ ეკლესიების შელანძღვაზე...

უცნაურია, როდესაც სოციალისტები ასე ენერგიულად იცავენ სარწმუნოებას!..

როდის აქეთ გავხდით ჩვენ ასეთი მორწმუნეები?!

დიახ, ზოგიერთი ეკლესიები გადაკეთებულია კლუბებათ.

მაგრამ მათი დაცვა კლერიკალების საქმეა და არა სოციალისტების.

მაგრამ, რადგან ისინი ასე თავგამოდებით იცავენ სარწმუნოებას და მის უფლებებს, ცხადია, ძალიან დაუახლოვდენ ისინი კლერიკალებს, რასაც ვულოცავთ მათ.

სამღვდელოების წამება...

კიდევ ერთი ზღაპარი... თვით კათოლიკოსმა ამბროსიმ თავისი ხელით დასწერა, რომ მას ძალიან კარგათ ინახავენ... თვითონ სწერდა გაზეთების ფურცლებზე. და ვის უნდა დაუჯეროთ ამის შემდეგ.

— ამბროსის, თუ საზღვარ-გარეთელ მენშევიკებს, რომელნიც საზრდოობენ ათასგვარი ჭორებით!..

აი ასე იწერება ისტორია.

ასე იწერება და ითხზება ფაქტები, საზღვარ-გარეთ.

— რაც გინდა სწერე, ილაპარაკე ოღონდ რამეს კი მოეჭიდო!..

მაგრამ ეს არ არის კეთილსინდისიერობა. ეს არ არის გულწრფელობა.

და ასეთი ბრალდებები თვით ბრალმდებელს ამარცხებენ.

ა. რ—ძე.

მოწოდება

საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებს

ამხანაგებო!

26 ივლისს ქ. გორში შესდგა მენშევიკურ პარტიის ყოფილ წევრთა საზოგადო კრება, სადაც დღის წესრიგში იდგა მენშევიკურ პარტიის დღევანდელ მოღვაწეობის შეფასება. ხანგრძლივი აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, კრება ერთხმად დაადგა იმ აზრს, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატია იმპერიალისტურ ომის და რუსეთის რევოლიუციის მსვლელობაში სრულიად გახუნდა და გამოიფიტა, როგორც რევოლიუციონური პარტია. დღეს, როდესაც მთელი ქვეყანა ორ ბანაკად არის დაყოფილი. რომელთაგან ერთს ხელმძღვანელობს რეაქციონური ანტანტა და მეორეს საბჭოთა რესპუბლიკები, როცა კაცობრიობის ისტორიაში ხდება ჯერ არ ყოფილი გრანდიოზული სოციალ-ეკონომიური გარდაქმნა, ყოველივე მოქმედება ამ მოქმედების წინააღმდეგ მიმართული, რა გრძნობით და შეგნებით არ უნდა იყვეს ის ნაკარნახევი, არსებითად კონტრ-რევოლიუციის გამარჯვებას და ძველი ქვეყნის განმტკიცებას ემსახურება. „ეროვნული“ ბრძოლა, რომელსაც სამფეროვანი დროშის ქვეშ აწარმოებს მენშევიკური პარტია, არ შეიძლება განხილულ იქნეს რევოლიუციონურ ბრძოლით, როგორც ამას ადგილი აქვს ინდოეთის, ირლანდიის და რურის მშრომელი მასის ცხოვრებაში. ოქტომბრის რევოლიუციამ და განსაკუთრებით კომპარტიის მე XII ყრილობამ შესაფერისად გადასწყვიტა ნაციონალური კითხვა, რომელიც მტკიცედ ტარდება ცხოვრებაში.

ამხანაგებო! თქვენი ჰასაკი ბუნებით რევოლიუციისა და ქარტეხილის ჰასაკია. ის, რაც უძნელდება შეიგნოს და შეითვისოს ხანში შესულ ადამიანის გონებას და გრძნობას, ახალგაზრდა რევოლიუციონერისთვის დიდს გასაჭირს არ წარმოადგენს. ამიტომ ყოველივე ბრძოლის და ახალი გზისაკენ ლტოლვის დროს პროლეტარული ახალგაზრდობა თავის ჭაბუკურ აღტაცებით ყოველთვის პირველ რიგში იდგა. დღეს, როდესაც ასეთს გარდატეხას აქვს ადგილი რევოლიუციონური ელემენტების, თქვენი უფროსი ამხანაგების შორის, რევოლიუციონური მარქსისტთა ახალგაზრდობას არ შეუძლია გულგრილად უცქიროს მას და მოწმედ დარჩეს. ეს ბოროტება იქნებოდა მომავლის წინაშე, ეს დანაშაული იქნებოდა რევოლიუციონურ სინდისის მიმართ. ის, რაც არ შეგვიძლია შევქმნათ ჩვენ, ძველმა ამხანაგებმა, უნდა გააკეთოთ თქვენ, სიცოცხლით და ჯანღონით აღსავსე ახალგაზრდა ამხანაგობამ. თქვენ კისერზეა ამხანაგებო იმ დანაშაულის გამოსყიდვა, რომელიც გარემოებათა ვითარებით ჩაიდინა მენშევიკურ პარტიამ რევოლიუციის მიმართ.

ამხანაგებო! თქვენ გიღიმის მომავალი და თქვენც ნუ დაიშურებთ მთელი თქვენი სიცოცხლე შესწიროთ რევოლიუციონურ ბრძოლას; თავი დაახწიეთ იმ მრუდე გზას, რომელზედაც ჯერ დიდი მანძილი არ გაგივლიათ.

გაუმარჯოს საქართველოს მშრომელ ახალგაზრდობას.

სალამი გამოფხიზლებულ რევოლიუციონურ ახალგაზრდობას—მომავალ ქვეყნის ერთგულ მებრძოლთ.

ქალაქ გორის ყოფილ მენშევიკთა საზოგადო კრების პრეზიდიუმი.

ს. ჭაჭიეთის ყოფილ მენშევიკების კრება

(ხიდისთავის თემი გურია)

23 ივნისს მოხდა სოფ. ჭაჭიეთის (ხიდისთავის თემი, გურია) ყოფილ მენშევიკთა კრება. კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია პ. თავართქილაძე, მდივნად ა. თავართქილაძე; მომხსენებლად გამოვიდა რ. ბაზიანი მან კრებას გადუშალა თვალ წინ წარსული ბრძოლა მუშათა კლასისა და ის უთანხმოება, რომელმაც ადრევე იჩინა თავი სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. ჩვენ მართალია მივყვებოდით მენშევიკურ ხელმძღვანელებს, მაგრამ ჩვენ არასდროს მიზნად არ გვქონია მუშათა კლასისგან ჩამოშორება საქართველოს გასაბჭოების დღიდან ჩვენში რაღაც დაბნევა-გაუგებრობა მოხდა და ჩვენ ვითომც გამოვეთიშეთ მშრომელთა საერთო ოჯახს, მაგრამ არ შეიძლებოდა ამ მდგომარეობის დიდი ხნით გაგრძელება, დიდი დაკვირვების შემდეგ მენშევიკური პარტიის წევრები დარწმუნდენ, რომ კომუნისტურ პარტიას სწორი გზა აქვს სოციალიზმისკენ და დიდმა უმრავლესობამ იწყო მასთან თანამშრომლობა.

ჩვენც უნდა ვსთქვათ ჩვენი სიტყვა, ჩვენც ხელი შეუწყოთ ამ მუშაობას დავგმოთ მეორე ინტერნაციონალის პოლიტიკა—ბურჟუაზიასთან შეთანხმება, მივიღოთ მესამე ინტერნაციონალის ხელმძღვანელობა, რომელსაც მიჰყავს მშრომელი ხალხი სრულ გამარჯვებამდის. ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა მომხსენებლის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს. იყო შეკითხვები, რომლებზედაც მომხსენებელმა გარკვეული პასუხი მისცა.

შემდეგ მოხდა არჩევნები სამაზრო კონფერენციაზე დასასწრებ დელეგატებისა, რომლებმაც შემდეგ უნდა აირჩიონ სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკთა კონფერენციის დელეგატები. კრება ნასიამოვნები დაიშალა იმ იმედით, რომ აწი მაინც დასასრული მიეცემა იმ უთანხმოებას და ბრძოლას, რომელიც ასუსტებდა მშრომელი გლეხობის და ქალაქის პროლეტარიატას რიგებს.

დელეგატებათ არჩეულ იქნენ:

კირილე მახარაძე, ე. ფოცხიშვილი, ე. სვანიშვილი, ს. თავართქილაძე, ქ. ჯაფარიძე, მ. თავართქილაძე, ლ. დოლიძე.

მუშა სიო ხიდისთაველი.

ყოფ. მენშევიკების განცხადებანი

ამხ. რედაქტორო! გთხოვ გამოაცხადოთ თქვენი გაზეთის საშვალებით შემდეგი.

1902 წლიდგან მე ვირიცხებოდი სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკების) პარტიის წევრათ. ვინაიდგან მე არ ვიზიარებ ამ პარტიის ტაქტიკას მისგან გამომდინარე ბრძოლის მეთოდებით, რაც გამოიხატება მათი არალეგარულ მუშაობაში და ბურჟუაზიულ პარტიებთან ბლოკში, და თანაც სასტიკი წინააღმდეგი ვარ რა ყოველგვარ ინტერვენციის და არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ იარაღით ხელში გამოსვლის, ამიტომ საჯაროთ ვაცხადებ, რომ გავდივარ ხსენებულ პარტიიდგან და ვწყვეტ მასთან ყოველივე კავშირს.

ვრჩები რა ყოველგვარ პარტიის გარეშე, ვთვლი ჩემს პირდაპირ მოვალეობათ შეძლების დაგვარათ ხელი შეუწყო არსებულ ხელისუფლება'ს მის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობაში.

სოლომონ პაიჭაძე.

—

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის უახლოს ნომერში ადგილი დათმოთ შემდეგ ჩემ განცხადებას.

მე ქვემორე ამისა ხელის მომწერი, ვაცხადებ, რომ საქრთველოს გასაბჭოებამდე. ე. ი. 1920 წ. ვირიცხებოდი დამოუკიდებელ სოციალ დემოკრატიულ („სხივლების“) პარტიაში კომუნისტურ პარტიის ორი წლის მუშაობამ საქართველოში ნათელ ყო, თუ ვინ არის მუშათა და გლეხთა ინტერესების ნამდვილი დამცველი. ამისათვის აღარა ვცნობ ზემო ხსენებულ პარტიას, სრულიად შეგნებულათ ვსდგები საბჭოთა პლატფორმაზე და მოვალეთ ვთვლი თავს ხელი შეუწყო მას აღმშენებლობით მუშაობაში.

ანდრო ანდრიას-ძე ბარკალაია.

დეპეშა

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცეკას

ჩვენ, ახალ-ქალაქის (გორის მაზრის) მშრომელნი, ყოფილი მენშევიკური პარტიის წევრნი, რიცხვით 20 კაცი, ვაცხადებთ ყველასათვის გასაგონათ, რომ მენშევიკების 3 წლის ბატონობამ საქართველოში დაგვანახა სრული მათი პოლიტიკური სიკოტრე და მეზობელ მოძმეთა შორის ეროვნული შუღლი. უკეთებთ რა ანალიზს მათ მუშაობას, სამუდამოთ ვსტოვებთ მენშევიკურ პარტიას და ვდგებით პროლეტარიატის რიგებში, რათა თქვენთან ერთად მუდამ დავიცვათ ჩვენივე მოძმეთა სისხლით შეღებილი წითელი დროშა.

გაუმარჯოს მთლიან პროლეტარულ ფრონტს ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს მესამე კომინტერნს.

კონფერენციის თ—რე

გ. ჯლანტიაშვილი.

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია იშლება

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის მახლობელ №-ში დამიბეჭდოთ შემდეგი:

მე ვირიცხებოდი ახ. მარქ. ორგანიზაციის წევრათ 1917 წლიდან საქართველოს გასაბჭოებამდე. გასაბჭოების შემდეგ კი ვდგევარ ყოველგვარ ორგანიზაციის გარეშე და თვალყურს ვადევნებ საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობითი მუშაობას, რამაც ღრმათ დამარწმუნა, რომ არსებული ხელისუფლება არის ერთათ ერთი, რომელმაც შესძლო მშრომელი მასის სათანადო დაცვა და მისი ტკივილების საწამლებელი მალამოს გამონახვა; სრულიად უმტკივნეულოდ და მშვიდობიანად გადასჭრა ამიერკავკასიის მრავალ-ერიან მოსახლეობის ეროვნული საკითხი, რომელიც მენშევიკურსა და მონარქიულ წყობილების დროს სისხლის ღვარს აყენებდა. არ შემიძლია უყურადღებოთ დავტოვო და არ უწოდო გზა გადამცდარი საქართველოს ახალგაზრდობის იმ უმნიშვნელო ნაწილს, რომელიც მენშევიკურ აზროვნების ჭაობს ვერ გასცილებია და საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ განწყობილი. გამოვდივარ რა ხსენებულ ახ. მარქ. ორგანიზაციიდან, ვრჩები ყოველგვარ პარტიის გარეშე და მთელ ჩემ ძალღონეს მოვახმარ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას.

ლევან დორეთეოზის ძე კოჩეჩაშვილი.

საბჭოთა კავშირში

„ცენტრალურ აღმასკომისა და სახალხო კომისართა საბჭოს უწყებები“.

მოსკოვი. 1 აგვისტო. ცენტრალურმა აღმასკომმა დაადგინა გამოსცეს „ს. ს. რ. კ. ცენტ. აღმასკომისა, სახ. კომის. საბჭოსი და შრომისა და თავდაცვის საბჭოს უწყებები რუსულსა, უკრაინულსა, ბელორუსულსა, თურქულსა, თათრულსა, სომხურსა და ქართულ ენებზე. „უწყებებში“ უნდა გამოცხადდეს მთავრობის ყველა დეკრეტები და განკარგულებები.

ს. ს. რ. კ. საგარეო საქმეთა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატების შემადგენლობა.

მოსკოვი. 1 აგვისტო. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიები შემდეგი შემადგენლობით: სახალხო კომისარის მოადგილეები ამხ. ამხ. რაკოვსკი და ლიტვინოვი, წევრები—კარახანი, კოპპი, როტშტეინი და ჰუსეინოვი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: სახალხო კომისარის მოადგილე ფრუმკინი, წევრები—ბეგგე, ბრონი და ხლოპლიანკინი.

რუსეთი.

მეცნიერებათა აკადემიის არსებობის 200 წლის თავი.

პეტროგრადი. 1 აგვისტო მეცნიერებათა აკადემიის 200 წლის არსებობის დღესასწაული დანიშნულია 1924 წლის იანვარში.

პეპელიაევის საქმე.

რითი აიხსნება თეთრგვარდიელების დამარცხება.

ჩიტა. 31 ივლისი. პეპელიაევისა და მის თანაზიართა საქმე აგვისტოს გასულს გაირჩევა. პეპელიაევმა „რაბოჩი პუტ“-ის თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა: თეთრების მოძრაობის მარცხი აიხსნება თეთრგვარდიელთა საადგილ-მამულო პოლიტიკით, რომლის ძალითაც მემამულეებს საშუალება ჰქონდათ გლეხების მიწები მიესაკუთრებინათ; მეორე მიზეზი მარცხისა იყო გენერლების უნიჭობა საადმინისტრაციო საქმეებში. ჩვენ ბრალსა გვდებენ რუსეთის ანარქიის შესახებ ყალბი ცნობების მიხედვით. ნამდვილად კი, სწორედ საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით აღორძინდა ორგანიზაციული ცხოვრება. ვინც კი ხელს აღმართავს არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ, ის მიდის ხალხის წინააღმდეგ.

პეპელიაევი განსაკუთრებით გაოცებულია წითელი არმიით, რომელიც ნამდვილი ორგანიზაციული ძალაა მაშინ, როდესაც თეთრგვარდიელებმა თავისი არმია ბანდიტების ბრბოდ გადააქციეს, პეპელიაევი სურვილს გამოსთქვამს, რომ თავისი უკანასკნელი ძალღონე ახალი რუსეთის სამსახურს შესწიროს.

თურქესტანი.

თურქესტანის კომპარტიის ცეკას პლენუმი.

ტაშკენტი, 31 ივლისი. გაიხსნა თურქესტანის კომპარტიის ცეკას პლენუმი. აღმასრულებელ ბიუროს სახელით გამოვიდა ამხ. როზენბლიუმი, რომელმაც აღნიშნა ბასმაჩებთან ბრძოლის შედეგები. **ფერგანა სავსებით განთავისუფლებულია ბასმაჩებიდან. ბეგებისა და ხანების განწყობილებაში გარდატეხა მოხდა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოთ.**

ნიჟეგოროდის ბაზრობა

ნიჟეგოროდის ბაზრობა.

ბაზრობის გახსნა.

ნიჟნი ნოვგოროდი. 1 აგვისტო. **დღეს დიდი ზეიმით გაიხსნა სრულიად საკავშირო ბაზრობა, მრავალ მოსკოველ სტუმრების მონაწილეობით, ამხ. რიკოვის მეთაურობით, სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. მალიშევის, ბაზრობის მონაწილეთა და მცხოვრებთა თანადასწრებით. ამხ. რიკოვმა შემდეგი სიტყვით მიმართა დამსწრეთ.**

ბაზრობის ამოცანები.

ნიჟეგოროდის მეორე ბაზრობას, რომელიც არის ს. ს. რ. კავშირის ვაჭრობის ცენტრი, დაკისრებული აქვს დიდი ამოცანები, გლეხებთან მჭიდრო კავშირის დამყარების მხრივ. ბაზრობის ამოცანაა—მიწოდების საქონლის გასაღების გადიდება, რათა დაიტვირთოს ფაბრიკები და საშვალება მიეცეთ გლეხებს შეიძინონ ფაბრიკაში დამზადებული საქონელი.

ბაზრობის საერთაშორისო მნიშვნელობა.

ბაზრობის საერთაშორისო მნიშვნელობა მდგომარეობს ს. ს. რ. კავშირის მჭიდრო ეკონომიურ კავშირში აღმოსავლეთთან. ამხ. რიკოვი უსურვებს ბაზრობას წარმატებას, სრულიად საკავშირო ნიჟეგოროდის ბაზრობას გახსნილად აცხადებს.

ამხ მალიშევის სიტყვა.

ამხ. მალიშევი აღნიშნავს, რომ ორი წლის განმავლობაში აღდგენილია საბაზრო ტერიტორიის ნახევარი და ესალმება ბაზრობაზე ჩამოსულ ვაჭრობის და კერძო ვაჭართა წარმომადგენლებს სამაზრო ფარდულების დ თვალიერების შემდეგ გაიმართა ბანკეტი ამხ. რიკოვის საპატიო თავმჯდომარეობით. სიტყვებში აღნიშნული იყო, რომ ბაზრობის ამოცანას შეადგენს სოფელსა და ქალაქს შორის მჭიდრო კავშირის დამყარება. ამხ. მალიშევმა **განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საბჭოთა პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების, მხრივ გაწეულ დახმარებას რის წყალობითაც აშენებულია 50 ახალი კორპუსი. ამხ. მალიშევის გეგმით ბაზრობა 3 წლის განმავლობაში სავსებით იქნება აღდგენილი ეხლანდელ ბაზრობის მონაწილეთა დახმარებით.**

„წითელი საჰაერო ფლოტის შესახებ“

„იზვესტიას“ წერილი

მოსკოვი. 2 აგვისტო. „იზვესტია“-ს მეთაურში „წითელ საჰაერო ფლოტის შესახებ“, წითელი სამხედრო მფრინავი ამხ. პეტროვიცკი სწერს: „როგორ წარმოიშვა და გაიზარდა წითელი ფლოტი? მეფის არმიის სტიქიურ დემობილიზაციის დროს, ნაწილებში დარჩენილმა მუშაკებმა, აუტანელ პირობებში, გამოიტანეს ქონება ფრონტიდან. ის გახდა საფუძველი წითელი საჰაერო ფლოტის შესაქმნელათ. საჰაერო ფლოტის მუშაკების რევოლიუციონურ ჯგუფის მეცადინეობით ბრძოლის ველზე დაიბადა ახალგაზრდა წითელი საჰაერო ფლოტი. საავიაციო ქარხნები თითქმის არ მუშაობდენ. შესავსები მასალები არ იყო. ერთად ერთ შესავსებ მასალას იძლეოდენ კოლჩაკი, დენიკინი და ვრანგელი. ყველაფერი საუკეთესო წითელ ფლოტში ფრონტზე წავიდა.

1917 წლის ბოლოში აღარ იყო 1 ხარისხის ბენზინი, გადავედით 2 ხარისხისაზე, შემდეგ გაზოლინზე, ეფირინზე, ნავთზეც კი. ფრონტის მუშაკები ბრძოლის საქმეს სწირავდენ თავის თავს, თავის აზრებს, ენერგიას, ძალღონეს. ამიტომ წითელი საჰაერო ფლოტი იმარჯვებდა ფრონტებზე.

ეხლა, მშვიდობიანობის პირობებში, საჭიროა საშუალებების გაღება ნამდვილ საჰაერო ფლოტის შესაქმნელად. ჩვენ, საჰაერო ფლოტის მუშაკები გთხოვთ პირველი—თანამედროვე ტიპის საომარ აპარატებს, მეორე—საჰაერო ფლოტის მუშაკების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას, მესამე—საშუალებებს ჰაეროდრომების შესაქმნელათ, მეოთხე—შესანახი ადგილების აშენებას, მეხუთე—საკუთარ ავიომრეწველობის შექმნას, უცხო სახელმწიფოებისაგან დამოკიდებულების თავიდან ასაცილებლად.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

უცხოეთის ქვეშევრდომნი.

ბაქო. 1 აგვისტო. ბაქოს საბჭოს სამმართველო განყოფილებამ განკარგულება მისცა მილიციას, რომ ყველა უცხო ქვეშევრდომნი საბინაო დავთრებში ჩაწერილ იქმნენ მხოლოდ მათი რეგისტრაციაში გატარებისა და აღრიცხვაზე აყვანის შემდეგ.

ბაქოს ტრამვაის აგება.

ბაქო. 1 აგვისტო. ამ დრომდე ბაქოს ტრამვაის ლიანდაგი დაიფინა ერთ ნახევარზე მეტ ვერსის მანძილზე; მიწის სამუშაო თითქმის დასრულებულია. ლიანდაგის დაგების სამუშაო ფერხდება სავაგონო ბოლტების მიუღებლობით, რომელიც, ჯერ კიდევ ივლისის დასაწყისში, გამოიგზავნა ეკატერინოსლავიდან. ყველა დანარჩენი მასალა კი საკმაოთაა. აზნავთი შეუდგა ლობეებისა და შენობათა აშლას, რომლებიც ხელს უშლიან ბელოგოროდის შოსსეს გაფართოვებას. ამ ადგილზე განზრახული მუშაობა გაცილებით გააუმჯობესებს მოგზაურობას ამ შოსსეს მთელს სიგრძეზე, რადგანაც აზნავთმა გადასწყვიტა ისარგებლოს ტრამვაის აგების შემთხვევით ამ შოსსეს სწორ და რაციონალურ გადაკეთებისათვის ცენტრალურ რაიონის ელექტრო ტრესტისაგან მიღებულ ცნობის გამო, რომ პირველ ქვესადგურის განმანაწილებელ აგების მოწყობილობის ნაწილი უკვე მზად არის, მიღებულია სასწრაფო ზომები ამ ქვესადგურის შენობის აშენების დასაჩქარებლად. უკანასკნელ დროში აშენება ფერხდებოდა თეთრი ქვის ნაკლებობით. პეტროგრადიდან მიღებულია ტრამვაის ელმილის პირველ პარტიის, 100 ფუთის რაოდენობით, უკვე გამოგზავნის ცნობა.

მიღებულია აგრეთვე ცნობა, რომ უკვე გამოგზავნილია ჩამოსაკიდ მასალის პირველი პარტია.

პარტიული ცხოვრება

ტფილისის აღმასკომის კომკავშირის უჯრედში

30 ივლისს შესდგა ტფილისის აღმასკომის კომკავშირის უჯრედის კრება რომელსაც დაესწრო 80 წევრამდი. კრების თავმჯდომარეთ იქნა არჩეული ამხ. მგალობლიშვილი. დღის წესრიგში იდგა ამხ. ხასჰაბოვის მოხსენება რაიონულ კონფერენციის ჩატარების შესახებ, და კომუჯრედის ბიუროს ანგარიშები.

ამხ ხასჰაბოვმა მარტივად და ყველასათვის გასაგები ენით გააშუქა კონფერენციის მნიშვნელობა და საჭიროება. მოხსენებიდან გამოირკვა რაიონული კომიტეტის დამაკმაყოფილებელი მუშაობა. კომპარტიასთან მე-4-ხე რაიონის კომკავშირის დამოკიდებულება დამაკმაყოფილებელია. საჰაერო ფლოტისთვის მოგროვილი შემოწირულება აღწევს 2.500.000 000 მანეთს. კლუბის მუშაობა სხვა რაიონებთან შედარებით არის დამაკმაყოფილებელი: მეცადინეობს 24 პოლიტიკური წრე და აგრეთვე სხვა წრეები.

შემდეგ მომხსენებლად გამოდის კომკავშირისა, ბიუროს მდივანი მან აღნიშნა ის, რაც გაკეთდა 2 თვის განმავლობაში: აღმასკომში მომუშავე კომპარტიის წევრებთან დამოკიდებულება დამაკმაყოფილებელი არის, დაარსებულია 1-ლი საფეხურის პოლიტიკური წრე, სადაც გაცხოველებულად მეცადინეობა სწარმოებს. ამ მოკლე ხანში მოეწყობა მარქსისტული წრე და სამკითხველო.

მიქელაძე.

ქ. ჭიათურა

27 ივლისს ქ. ჭიათურაში შორაპნის სამპარტკომის პ|მ. მდივნის—ამხ. სუფსისპირელის ხელმძღვანელობით შესდგა სატრანსპორტო კომუჯრედების მდივნების თათბირი მაზრის მასშტაბით. უკანასკნელზე თვითეულ მათგანმა გააკეთა მოხსენება უჯრედის მუშაობაზე.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ სადგ. შორაპნის სატრანსპორტო კომუჯრედი მუშაობას აწარმოებს მუყაითად. პარტ-დისციპლინა თავის სიმაღლეზე სდგას, სწარმოებს პოლიტიკური მეცადინეობა, უჯრედს უხდება აგრეთვე ადმინისტრატიულ ხასიათის საკითხების გარჩევაც, ყავს კორესპოდენტი, რომელიც აშუქებს პრესაში უჯრედის ცხოვრებას. სწარმოებს აგრეთვე მუშაობა ტრანსპორტზე მომუშავე უპარტიო ქალთა შორის.

სხდომების ოქმების ასლები იგზავნება, როგორც ს. კ. პ. ცეკას სატრანსპორტო განყ.-ში, ისე სამპარტკომში.

სადგურ რკვის სატრანსპორტო კომუჯრედის მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს. ხარაგოულის სატრანსპორტო კომუჯრედში კი მუშაობა მეტად სუსტია, მას აკლია თვითმოქმედება.

დარკვეთის სატრანსპორტო კომუჯრედში წინათ მუშაობა თავის სიმაღლეზე იდგა ხოლო ბოლო დროს კი მუშაობა შეფერხებულია: იყო შემთხვევები, რომ ხუთი თვის განმავლობაში, თვეში მხოლოდ ერთხელ იმართებოდა კრება. აგრეთვე მიმაგრებული ამხანაგებიც ვერ უწევდენ შესაფერ ხელმძღვანელობას და ხშირად კრებებსაც არ ესწრებოდენ.

ჭიათურის სატრანსპორტო კომუჯრედში იგივე მდგომარეობაა.

კრებაზე ამხ. ვ. სუფსისპირელმა გააცნო დამსწრეთ მომავალი მუშაობის გეგმა. უმთავრესი ყურადღება მან მიაქცია უპარტიოთა შორის მუშაობას პარტიაში ახლად მისაღებ ელემენტებს, საზოგადოებრივ ურთიერთ დახმარების გლეხთა კომიტეტების შექმნას, საჰაერო ფლოტის კამპანიის ჩატარებას. აგრეთვე შეეხო წარსულ მუშაობას, მიუთითა დეფექტებზე და გამოსავალ გზებზე.

მოხსენებები სატრანსპორტო კომუჯრედებიდან მიღებულ იქნა ცნობად, ხოლო დარკვეთის, ჭიათურის და ხარაგოულის კომუჯრედების მდივნებს წინადადება მიეცა აწარმოონ უფრო ინტენსიური მუშაობა.

ვიოლეტა.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(2 აგვისტო).

ჩერვონცები	19,650
ოქრ. მომგ. სესხ. 1 მ.	1875
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	18,700
ჩეკები	16,550
დოლარი ეფექტ.	3,800
ჩეკები	3,500
ოსმალ. ქაღ. ლირა ეფექტ.	2800
ჩეკები	2,425
იტალიური ლირა	140
ფრანგული ფრანკი	210
საბჭოთა ფულის ნიშ.	18 1/2

მუშკოპის ფასები.

(2 აგვისტო).

პური გირ.—60 ათასი. ხორცი ძროხის—400 ათ., ყუბანის ფქვილი გირ.—120 ათ., როსტოვის საპონი—400 ათ., საპონი „ტოლლე“ 450 ათ., ნატეხი შაქარი—900 ათ., ფხვნილი შაქარი 680 ათ., ერბო—800 ათ., კარაქი—1,400,000., ხანის ბრინჯი—280., კართოფილი—40 ათ., ჰოლანდიური ყველი 600 ათ., წითელი ლობიო—25. პამიდორი—80 ათ. კომბოსტო—60 ათ. ჭარხალი—50 ათ. ცხვრის ხორცი—450 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(2 აგვისტო)

პური 1 ხარ.—160—180, ფქვილი—140 და მეტი, ნატეხი შაქარი—1 მილ., ფხვნილი შაქარი—720-750, ზეთი—500, ძროხის ხორცი—350-550, ცხვრის ხორცი—550, ერბო—800-1 მილ., კარაქი—1 მილ.-1200,000, თუშური ყველი—600—700, კომბოსტო—60, აგდაშის ბრინჯი—250, წითელი ლობიო—40—50, მწვანე ლობიო—50—100, კარტოფილი—40, ჭარხალი—60, პამიდორი—80, კვერცხი 10 ც.—550. ბადრიჯანი—20-40 ათასი

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(2 აგვისტო)

ბემის ფანჯრის მინები. ბოთლები 0,05 და 0,0,4 კაუსტიური სოდა. რ. ს. ფ. ს. რ. ხორბალი და პურის პროდუქტები. საამშენებლო ლურსმენი. ასანთი რუსეთის, ს. მ. უ. ს. საფეიქრო საპნისა და ზეთის ტრესტის პროდუქცია. მაკარონი და ვერმიშელი 2 ხარ. ცემენტი და ეტერნიტი ნოვოროს. სახურავის რკინეულობა. ქაღალდის ცენტრალური ტრესტის ქაღალდი და კარტონები. რკინეულობა. სალებავები.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(2 აგვისტო)

უმაღლესი და 1 ხარ. ფქვილი. ადგილობრივი და ყუბანის ფქვილი. სალამასი. პორტლანდის ცემენტი. ნედლი ტყავები. შვეიცარული ყველი მავთული. ინგლისური თეთრი თუნუქი. ინგლისური შაბიაბანი ნახიჩევანისა და ბახმუტის ქვა მარილი. ტომრები. ცეილონის ჩაი. გოგირდი „ბუდა“ ადგილობრივი და ყუბანის ხორბალი. კარტონები. კალა. კანიფოლი. ქერი.

ბირჟის საქონლის განყოფილების გარიგებანი.

(2 აგვისტო)

ნარმა 32 ვერშოკიანი 0,13 ჩერ. მეტრი გამყიდველის ფრანკო საწყობი. რუსეთის სხვადა სხვანაირი ქაღალდის ფართლეულობა სულ 319 ნახ. ჩერ. თანხის. ბორჯომის კანიფოლი 0,58 ჩერვ. ფუთი ფრანკო სად. თბილისი. რუსეთის კაუსტიური სოდა 0,54 ჩერვ. ფუთი ფრანკო სად. თბილისი.

სასოფლო მეურნეობა

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატში

აგრონომიული დახმარების ქვეგანყოფილება.

(მოქმედების მიმოხილვა ივნისში).

საანგარიშო თვეში აგრონომიული დახმარების ქვე-განყოფილება აწარმოებდა საორგანიზაციო ხასიათის მუშაობას მომავალ აგრონომიულ ყრილობის მოსაწვევად და მუდმივ აგრონომიულ მატარებლის მოსაწყობად.

განყოფილება განაგრძობდა ცნობების და მასალების დაგროვებას სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის.

განყოფილების მიერ დადებულ იქნა ხელშეკრულება რუსეთიდან გამოგზავნილ ბოსტნეულობის და ხეხილის სახმობ მატარებლის მართველობასთან იმ მიზნით, რომ მატარებელი საქართველოს ფარგლებში გამოყენებულ იქნეს ხეხილის და ბოსტნეულობის გახმობის სადემონსტრაციოდ და საერთოდ ამ საქმის პროპაგანდისთვის; აგრეთვე ამავე მატარებლით გადამუშავებული უნდა იქნეს სახელმწიფო მამულების ხილეულობა. ამავე დროს მატარებლის სარემონტო სახელოსნო უნდა იქნეს აგრანომიულ პუნქტების სასოფლო-სამეურნეო იარაღების და მანქანების შესაკეთებლად, აგრეთვე მატარებლის სახმობი მანქანა გამოყენებულ იქნება ხილის ჩასაწყობ ყუთების მასალების დასამზადებლად

ამ საანგარიშო თვეში მიმდინარეობდა მუშაობა საზღვარ გარეთიდან ჩამოტანილ სასოფლო-სამეურნეო იარაღების და მანქანების ასაწყობად და მათი მაზრებში გაწესრიგება—გასაქირავებელ პუნქტების შესავსებად.

მუშაობა მაზრებში.

კერძოთ ცალ-ცალკე მაზრებში სწარმოებდა შემდეგი მუშაობა.

გორის მაზრაში მოხდა საჩვენებელი წამლობა ვენახისა და ხეხილის ბაღების სოფ. ატენსა და ქალაში. ამავე მაზრაში ცენტრიდან გაიგზავნა მანქანების სპეციალისტი—ინჟინერი იარაღების და მანქანების სარეგისტრაციოდ და თანაც განწესრიგებულ იქნა იარაღები გასაქირავებელ პუნქტებში.

სენაკის მაზრაში სწარმოებდა მორიგი მუშაობა ბოსტნის საჩვენებელ ნაკვეთების—სიმინდის, ბამბის, თამბაქოს, ქვა-ლობიოს (სოია) და ბაღჩეულობის მოვლაზე. ხეხილის ბაღებში სწარმოებდა საჩვენებელი წამლობა ბორდოს სითხით. საგრილებელ პუნქტზე დაგროვილ იქნა 12 ფაშატი ცხენი.

ოზურგეთის მაზრაში მიმდინარეობდა საჩვენებელი ხასიათის მუშაობა თამბაქოსა და ძვირფასი მცენარეების კულტურაზე და აგრეთვე მებოსტნეობა-მემინდვრეობაში, მეფუტკრეობაში ოთხ ალაგს მოეწყო საჩვენებელი სკა. ექვს ადგილას დათვალიერებულ იქნა გლეხების საფუტკრეები და სათანადო დარიგება მიეცა. ამავე დროს სწარმოებდა ბრძოლა ფუტკრის ავადმყოფობასთან (სიდამპლესთან), აგრეთვე იმართებოდა საუბარი ფუტკრის მოვლა-მოშენების შესახებ, აგრონო-პერსონალის მიერ დათვალიერებულ იქნა კერძო ბაღები, სადაც დარიგებას აძლევდენ ბაღის მავნეებთან ბრძოლის საშუალებათა შესახებ, განსაკუთრებით ბურტყლიან ტილთან, თანაც ასწავლიდენ ბაღის გასხვლას, გაწმენდას, წამლობას და სხვას.

თიანეთის მაზრაში—სოფ. ახმეტაში სწარმოებდა საუბრები ფილოქსერაზე, თვით თიანეთში წაკითხულ იქნა ლექციები მებოსტნეობაზე.

ბორჩალოს მაზრაში დათვალიერებულ იქნა სეტყვისაგან დაზარალებული მინდვრები და შედგენილი იქნა სათანადო ოქმები იმართებოდა საუბრები და ლექციები ნიადაგის დამუშავებაზე, ნიადაგის გაპატივებაზე, თესვის ბრუნვაზე და სხვა აჩვენებდნენ თეფშიანი ფარცხის „რინდალის“ს მუშაობას.

მევინეების ქვეგანყოფილება.

სახალხო ღვინის სარდაფი.

(ექვსი თვის ანგარიში)

ამა წლის მაისიდან ივნისამდე ტფილისის სახალხო ღვინის სარდაფში შესრულებულია შემდეგი სამუშაო:

ვარციხის სახალხო მამულიდან მიღებულია 77,3 ვედრო ღვინო ბოჭკებით, 3,496 ბოთლი შამპანიური „ბაღდადი“ და კონიაკის სპირტი 20 ვედრო, კონიაკი—500 ბოთლი და ბეკმეზი—24 ფუთი და 29 გირვანქა. საქარის და წინანდალის სახალხო მამულებიდან მიღებულია 7,285 ცალი ღვინო, კავთისხევის რაიონიდან საძველოთ შესანახად 48,5 ვედრო. ამ ხნის განმავლობაში ჩამოსხმულია ბოთლებში 2,847,5 ვედრო, რაც 46.289 ბოთლს შეადგენს.

გაიწმინდა და გადაღებულ იქნა 23,370 ვედრო ღვინო, ჩამოსხმული 46.289 ბოთლიდან შეტანილია კოლექტიურ განყოფილებაში შესანახად 4.219 ბოთლი, დანარჩენ 42070 ბოთლებზე დაეკრა ეტიკეტები. და გასაყიდათ დაიგზავნა.

საერთოდ ამ ხნის განმავლობაში სარდაფიდან გამოვიდა 43.769 ბოთლი და 1,191,95 ვედრო ღვინო, 1.036 ბოთლი კონიაკი და 952 ბოთლი შამპანიური—საერთო ჯამის—12,851,693 მანეთის.

ამ ხნის განმავლობაში დაიხარჯა ღვინო სარდაფში დასამატებლად და გადმოტანაზე გზაში დააკლდა 611.3 ვედრო ღვინო 4 ბოთლი კონიაკი და 0,2 ვედრო კონიაკის სპირტი დაიხარჯა საცობის (შპუნტების) წასასობად.

ამ ექვსი თვის განმავლობაში 46.289 ბოთლის ჩამოსხმაზე და მათ გარეცხვაზე გატყდა 3.876 ბოთლი,—პროცენტი მეტად დიდია. ეს გარემოება—აიხსნება მით, რომ ბორჯომის ქარხანა ამზადებს ბოთლებს არა ერთი ზომის მინებიდან ძალიან ვიწრო ყელიანს, რომელიც დაწოლას ვერ იტანს და მასობრივ ტყდება თავის დაცომის დროს.

ამ ხნის განმავლობაში მოხდა რამოდენიმეჯერ მეცნიერული მიზნით ღვინოების გასინჯვა, ამასთან იყო დაჰაშნიკებული სხვადასხვა ჯიშის და ხნის ღვინოები რიცხვით 236 ბოთლი.

არსებულ ბოჭკის საკეთებელ სახელოსნოში ამ ხნის განმავლობაში შეკეთებულა 100 ორმოც-ვედრიანი ბოჭკა, სარდაფის მეურნეობის გარდა მუშა-მოსამსახურეების არსებული შტატი მუშაობდა კიდევ სარდაფის დეკორატიულ ბაღში, რომელიც სივრცით 0,5 დესტ. და შეიცავს ძვირფას ნაძვნარ და სხვა მუდმივ მწვანე ელემენტებს.

სოფლის მეურნეობის მავნებლებთან მებრძოლი ბიურო.

(ივნისის ანგარიში)

ბიუროს მიერ საანგარიშო თვის განმავლობაში ჩატარებულია შემდეგი სამუშაო:

დამთავრებულია წარმატებით კახეთში კალიასთან ბრძოლა ამ მიზნით მოწამლულია 1,050 დესეტინა შემდეგ რაიონებში: ჯუგაანის, წნორის-წყალის, კონდოლის, წინანდალის, შილდისა და ენამთისაში.

გამოკვლეულია წალკის რაიონი და მოწამლული სიმინდის საშვალებით მიღებულია ზომები მახრაჰის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად.

თაგვებთან ბრძოლის საწარმოებლად მცხოვრებთ მიეცათ შესაფერი დარიგება, თაგვი გავრცელებულია 10 სოფელში, რომელიც სივრცით 2.000 დესეტ. შეიცავს. გამოკვლეულია არუხლინის და ლუქსემბურგის რაიონები, გამოკვლევით აღმოჩენილია ბელლებში გავრცელებული მავნებლების მთელი რიგი და შედგენილი აქტი იმ მარცვლეულის გასანადგურებლად, რომელიც სრულიად გაფუჭებულია გრძელი დინგონით.

მოხდენილია 30,000 ფუთი სიმინდის ექსპერტიზა სადგ. სამტრედიასა, საჯავახოსა, სუფსა და ნატანებში. აღმოჩენილია 4 გვარი მავნებელი თავის განვითარების სხვა და სხვა საფეხურზე.

შედგენილია გეგმაც და ხარჯთ აღრიცხვა სტანციონალურ სადეზინფექციო კამერის ასაშენებლად სამტრედიაში, რომელიც მოათავსებს 4 ვაგონ სიმინდს და აგრეთვე ერთ ვაგონ-კამერის, რომელიც მოახდენს დეზინფექციას რ. | გზის სადგურებზე.

დახმარება ბავშვებს.

ს. კ. პ. ც. კ—ის ქალთა განყოფილების მოწოდებას ბავშვებზე დასახმარებლათ პირველი გამოეხმაურა ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სიმშილობის შედეგებთან მებრძოლი ცენტრალური კომისია, რომელმაც გადასდვა ამ მიზნისათვის 4 ნახევარი მილიარდი მანეთი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით.

ქალთა განყოფილებამ სხვადასხვა დაწესებულებების წარმომადგენლებთან ერთად მოაწყო სხდომა, რომელზედაც არჩეულ იქნა სვანეთის ბავშვების დამხმარე კომისია 5 კაცის შემადგენლობით: წარმომადგ. წითელი ჯვრისა, სიმშილობის შედეგებთან მებრძოლი კომიტეტისა საქართველოში, სახგანკომისა, ჯანმრთელობის კომისარიატისა და ქალთა განყოფილებისაგან, რომელმაც უნდა გამონახოს საჭირო საშუალებანი განზრახული საბავშვო სახლისათვის. ხსენებული ორგანიზაციები დაგვპირდენ თავის წარმომადგენლების პირით აღმოუჩინონ სახლს პერიოდული დახმარება. კომისია უკვე შეუდგა აღნიშნული სახლის მოსაწყობათ ხარჯთაღრიცხვის შედგენას. ამ დღეებში წითელი ჯვარი აგზავნის სვანეთში რაზმს 3 ექიმის, ფერშლისა და სანიტარის შემადგენლობით, რომელსაც მიეცემა საჭირო მედიკამენტები.

დადგენილია გაიგზავნოს სვანეთში ქალთა განყოფილების წარმომადგენელი, მოეწყოს იქ ქალთა განყოფილება, დაწყებულ იქნეს მუშაობა ბავშვებიდან და ამ გზით ჩაბმულ იქნენ ქალები მუშაობაში ქალთა განყოფილების გარშემო

საქონლის მანეთის ახალი კურსი

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისაგან

აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 1928 წ. 1 აგვისტოსათვის ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. 17 მაისის დადგენილება № 52-ის საფუძველზე, ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კომისია ამით აცხადებს, რომ აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 10 (ათი) მანეთის ფასობის კვალობაზე ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით ამა წლის 1-ლ აგვისტოსათვის განისაზღვროს 34.165.000 მანეთით.

ამავე რიცხვისათვის საქონლის მანეთის ღირებულება განისაზღვროს 3.416.500 მანეთით.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე.**

ქრონიკა

ამხ. სენ-კატაიამას ჩამოსვლა.

ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტის წევრი ამხ. სენ-კატაიამა.

ფინანსთა სახ. კომისარიატში.

— **სარეწავი გადასახადი.** ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, ივნისის განმავლობაში სარეწავ გადასახადიდან შემოვიდა სულ 65,479,055,000 მან.

განათლების კომისარიატში

— **პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში** პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში თხოვნების მიღება დაიწყო 1 აგვისტოს, რომელიც გაგრძელდება 1 სექტემბრამდე, რის შემდეგ აღნიშნულ ინსტიტუტებში სტუდენტები აღარ ჩაირიცხებიან.

ქალაქის აღმასკომში

— **ავლაბრის ხიდის შეკეთება.** აღმასკომთან არსებული კეთილ-მოწყობის სექცია ამ ჟამად აწარმოებს ავლაბრის ხიდის კაპიტალურ შეკეთებას. მუშაობა დასრულდება ორ კვირაში.

სხვა და სხვა.

— **მუშა-კორესპოდენტების ყრილობა.** ამ დღეებში ტფილისში გაიხსნება მუშა-კორესპოდენტების ყრილობა. ყრილობის მიზანია სხვათა შორის გაზეთებში თანამშრომლობის საკითხის გაშუქება-ჩამოყალიბება.

— **სესხი მეთამბაქოებს.** მოსკოვის სათამბაქო ტრესტმა გადასწყვიტა საქართველოში მეთამბაქოების ასაღორძინებლად გადასდოს 200,000 მან. ოქროთი.

— **სტიპენდიანტ სტუდენტთა საყურადღებოთ.** სტიპენდიანტთა გამგეობა აცხადებს სახელ. უნივერსიტეტის სტიპენდიანტთა საყურადღებოთ, რომ ივნისის ნარჩენ და ივლისის სტიპენდიები შეუძლიათ მიიღონ მხოლოდ ტფილისში, სტუდენტთა სასადილოში. პროვინციებში სტიპენდია არავის გაეგზავნება.

— **თვითმშრომელ საზოგადოების წევრთა გაწმენდა.** 3 აგვისტოს, ხელოსანთა კლუბში თვითმშრომელთა საზოგადოების ცენტრალური გამწმენდი კომისიის მიერ მოხდება ტყავზე მომუშავეთა ცეხის გაწმენდა.

— **დახმარება უდინებს.** თელავის მაზრაში ახლად გადმოსახლებულ იუდინთა დასახმარებლად საქართ. დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა გადასდო 50 ფუთი კონსერვები, 500 ტომარა ფქვილი, 1 ფ. და 2 გირ. თუთუნი, 3 ფ. და 24 გ. მარილი, 6 ფ. და 25 გ. ლობიო და 100 კოლოფი ასანთი.

— **სესხის მიცემა.** ფ.-ტ. საოლქო კომიტეტმა სესხის სახით ფ.-ტელეგრაფის მუშათა კლუბს დახმარების სახით გადასცა 200 მილიონი მან.

გამომცემლობა.

— **ჟურნალი „საქართველოს განათლების მუშაკი“.** გამოვიდა საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობის ყოველთვიური პროფესიონალურ პედაგოგიური ჟურნალი „საქართველოს განათლების მუშაკი“ № 1.

შრომის ბირჟა

— **უმუშევრები.** 31 ივლისს აღრიცხვაზე გამოცხადდა 291 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—73, გაიგზავნა სამუშაოზე—64 კაცი.

სასამართლოში.

— **მძარცველ ნესტორ ავალიანის საქმე.** 30 ივლისს აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალმა მძარცველ ნესტორ ავალიანს მიუსაჯა დახვრეტა, ხოლო სასჯელი, 25 თებერვლის ამნისტიის ძალით, შეეცვალა 10 წლით დაპატიმრებით სასტიკი იზოლიაციით და ქონების სრული ჩამორთმევით.

შემთხვევები.

— **მკვლელობა.** 30 ივლისს სოფ. წყნეთის გზაზე მოკლეს ვინმე ყაზაროვი. ეჭვის ალებით დაპატიმრებულია ჯერ-ჯერობით ორი წითელ არმიელი. გამოძიება სწარმოებს.

ხელოვნება

— **„კომუნისტური მარსელიოზა“.** კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილმა დასწერა ქართულათ „კომუნისტური მარსელიეზა“—ინტერნაციონალი.

— **სიმღერის მასწავლებელთა კურსები.** სექტემბრის შუა რიცხვებში ტფილისში გაიხსნება სიმღერის მასწავლებელთა კურსები.

ქ. ტფილისის სასაქლაო

თბილისის სასაქლაოს აგების შესახებ ჯერ კიდევ 1878 წელს დაისვა კითხვა და სწარმოებდა მუშაობა გეგმის, ხარჯთაღრიცხვის და სასაქლაოს ადგილის ამორჩევის შესახებ; დიდი მსჯელობის შემდეგ მხოლოდ 1889 წ. გადაწყდა, რომ აღნიშნული სასაქლაო აეგოთ ნავთლუღში.

სასაქლაოს აგებაზე მთელი მისი ვეებერთელა მოწყობილებით დაიხარჯა 960,000 მანეთი; მუშაობა დამთავრდა მხოლოდ 1914 წლისთვის.

მთელი სივრცე, რომელიც უკავია სასაქლაოს თავის ეზოთი უდრის 128 ათას კვადრ. მეტრს, აქედან თვით სასაქლაოზე მოდის 61,000 კვად. მეტრი.

სასაქლაოს ეზო

სასაქლაოს ეზოში, რომლის სივრცე უდრის დაახლოებით 67,000 კვ. მეტრს, მოწყობილია 3 განცალკევებული დიდი შენობა საქონლის შესანახად. პირველი შენობა, რკინის ბეტონის პავილიონით სივრცით 800 ოთხ. საჟენი და იტევს 600 მსხვილფეხა საქონელს. მეორე შენობა აგურის პავილიონით სივრცით 285 ოთხკ. საჟ. იტევს 1600 თავ წვრილფეხა საქონელს. მესამე შენობა აგურისაა სივრცით 160 ოთხკ. საჟენი ნავარაუდევია 500 ღორის შესანახად.

განსაკუთრებული ღირებულება სასაქლაოსი ის არის, რომ საქონლის გაჩერება და გაყიდვა ხდება არა ღია ეზოში, არამედ, როგორც ევროპის სახელმწიფოებშია მიღებული, პავილიონებსა და ზალებში.

ეზოსთან მოთავსებულია ავადმყოფ საქონელთა ეზო (**КАРАНТИННЫЙ ДВОР**) ორ პავილიონათ 100 სულ საქონლისათვის. ამავე ეზოში არის შენობა შავჭირიან საქონელისთვის, საუტილიზაციო აპარატით (სისტემა „გეპნიკი“) 200 ფუტ მოცულობით „გეპნიკეს“ აპარატი აკეთებს ლეშიდან ტეხნიკურ ქონს და ხორცძვლიან „ტუკს“.

სასაქლაო

თვით სასაქლაოში, რომელიც სივრცით უდრის 61,000 ოთხკუთხ მეტრს, მოწყობილია 3 დიდი კორპუსი.

პირველი კორპუსი,—ეს საკლავი პავილიონია მსხვილფეხა საქონლისთვის, საჰაერო-სატრანსპორტო ხაზებით და „ლებიოდკებით“. 10 საათიან სამუშაო დღეში შეიძლება 500 თავი მსხვილფეხა საქონლის დაკვლა.

მეორე კორპუსი, რომელიც დაახლოებით ასეთივეა, მოწყობილია წვრილფეხა საქონლის დასაკლავათ. მაქსიმალური დღიური დაკვლა ნავარაუდევია 1,500 თავზე.

მესამე კორპუსი ღორების დასაკლავი შენობაა შესაფერი მოწყობილებით და აგრეთვე ქვაბებით ჯაგარისთვის. მაქსიმალური დაკვლა ღორებისა ნავარაუდევია 500.

საცივებელი შენობა

ყველა სამი სასაკლაო დარბაზი შეერთებულია განსაკუთრებული დახურული ეზოთი, ქუჩებით და საცივებელ შენობით. საჰაერო ხაზები ყველა პავილიონიდან ამ ეზოთი საცივებელში მიდიან; ამნაირად ხორცი მიდის საცივებელ შენობაში გზა დახურულ ეზოთი და დაცულია მზისა და წვიმისაგან. მზის სხივებისა და წვიმისაგან უვნებლად ხდება საცივებელ შენობიდან ხორცის ამოტვირთვა ქალაქში გადასატანათ.

საცივებელის პირველ სართულში მოთავსებულია:

1. წვრილფეხა საქონლისთვის საცივებელი იატაკი, რომლის სივრცე 1500 კვ. საჟ. უდრის. აქ მოწყობილია 1500 კავი შაშხის ჩამოსაკიდებლათ.
2. ხორცის მაღაზიებს უჭირავთ იატაკის 225 ოთხკ. საჟენი. იატაკზე მოწყობილია 100 უჯრედი, რომლებიც საერთოდ იტევს 6,000 ფუთს ხორცს.

აქ ტემპერატურა უდრის 0°-დან-2°-მდე.

3. საცივებელი მსხვილფეხა საქონლისათვის 560 შაშხის (**ТУШИ**) ჩამოსაკიდებელ კავებით. ყოველი შენობა ცივდება ლინდეს სისტემის განსაკუთრებული მანქანით.

სასაკლაოსთან არსებობს საძეხვო ქარხანა და პურის საცხობი.

სასაკლაოს მოქმედება

სასაკლაოს აგების დროს მაქსიმალური წლიური დაკვლა საქონლისა ნავარაუდევი იყო: მსხვილფეხა საქონელი 150,000, წვრილფეხა—450,000, ღორი—150,000. სულ 750,000 საქონელი.

თუ შევადარებთ სხვა და სხვა წლებში დაკლული საქონლის რაოდენობას აღმოჩნდება შემდეგი: მეტი დაკლული საქონელი ყოფილა 1915 წელში, თუ 1914 წელს ავიღებთ ერთეულად (100 პროც.) 1915 წელში ის ასულა 125,7 პროც.-დე. ყველაზე ნაკლები საქონელი დაკლულა 1921 წელში 24,9 პროც.

ამის მიზეზი, რასაკვირველია, საერთო ეკონომიურ კრიზისში უნდა ვეძებოთ, რამაც გამოიწვია ხორცის—მცხოვრებთა მოთხოვნილების შემცირება. ამასთან დაკავშირებით და ზოგიერთ სხვა მიზეზების გამო მორეკილ საქონლის რაოდენობამ იკლო 1921 წელში.

საერთო ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების გამო დაკლულ საქონელთა რაოდენობამ იმატა და 24,9 პროც.-დან ის ადის უკვე 39,3 პროცენტამდე.

დაკლული საქონლის რაოდენობა ნავარაუდევ მაქსიმალურ დაკვლას არა თუ ვერ უსწორდება, მის ნახევარსაც ვერ აღწევს; მხოლოდ 1915 წელში აღწევს ნავარაუდევ მაქსიმალურ დაკვლის 43 პროც., დანარჩენ წლებში კი ის კიდევ უფრო ნაკლებია.

რამდენი მცხოვრების გამოკვება შეუძლია თბილისის სასაკლაოს ხორცით

თუ მივიღებთ მსხვილფეხა საქონლის საშუალო წონას 7 ფ., წვრილფეხა საქონლისას—1,2 ფ., ღორისას—4 ფ., და სასაკლაოს კი შეუძლია დაამზადოს 1,050,000 ფუთი მსხვილფეხა საქონლის ხორცი, 530,000 ფ. წვრილფეხა საქონლის, 600,000 ფ. ღორის ხორცი. სულ 2,180,000 ფუთი ხორცი; მასთან ერთად მომხმარებლის საშუალო ნორმად თუ მივიღებთ წლიურად 2,7 ფუთ ხორცს, მაშინ: 2,180,000: 2,7=807,407. მაშასადამე სასაკლაოს შეუძლია დააკმაყოფილოს 807,407 მცხოვრები.

თბილისის სასაკლაო ყოველმხრივათ მთელს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში ერთ საუკეთესო სასაკლაოდ ითვლება.

საპნის ქარხანა

სასაკლაოსთან არსებობს საპნის ქარხანა, რომელმაც დაამუშავა 1920 წელში 4,829 ფუთი საპონი, 1921 წელში 1,500 ფ. და 753 ნაჭერი, 1922—1,500 ფ. და 3,973 ნაჭერი.

საძეხვო ქარხანა

საძეხვო ქარხანამ დაიწყო მუშაობა მხოლოდ 1922 წ. ოქტომბრიდან და სამთვეში დაამზადა (ოქტომბერში, ნოემბერში და დეკემბერში) 220,6 ფუთი სხვა და სხვა სახის ძეხვი.

ყინულის ქარხანა

ამ ქარხანამ დაიწყო მოქმედება 1922 წლის ივნისიდან და ხუთ თვეში (ივნისი—ოქტომბერი) შესძლო 28,178 ფუთი ყინულის დამზადება. დამზადებული ყინულის რაოდენობა განსაკუთრებით აგვისტოში მატულობს.

საუტილიზაციო ქარხანა

ამ ქარხანამ მოქმედება დაიწყო 1922 წლიდან და იმავე წელში დაამზადა 1,382 ტყავეულობა სხვა და სხვა საქონლისა, უმთავრესად ცხენის ტყავი 1,067 ცალი, შემდეგ ძაღლის 227 და სხვა.

პურის საცხობი

პურის საცხობი დაარსდა 1922 წლის 12 ოქტომბერს და მისი მოქმედება ამავე წლის სამი თვის განმავლობაში გამოიხატა შემდეგში:

	გამომცხვარი პურის რაოდ.	
ოქტომბერში	298 ფ.	100 პროც.
ნოემბერში	467 ფ.	156,7 „
დეკემბერში	471 ფ.	158,1

სულ ამ სამი თვის განმავლობაში გამომცხვარია 1,236 ფუთი პური.

ყველა ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან სჩანს, რომ ქალაქის სასაკლაო ერთ უდიდეს წარმოებას წარმოადგენს თბილისში.

მუშათა დაზღვევის საქმე ტფილისში

მუშათა მოძრაობამ რომ თავისი განვითარების ხელსაყრელი პირობები მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების ხანაში ჰპოვა, ეს ყველაფრიდან სჩანს და ყველასათვისაც ცხადია.

ამ მოძრაობის განვითარებას თან მოყვა ეგრეთ წოდებული მუშათა დაზღვევის საქმის სათანადო დონეზე დაყენებაც.

წინეთ ამ მხრივ მუშა ყოვლად უპატრონო იყო და ავადმყოფობასთან ბრძოლა მის ძალღონეს აღემატებოდა. მუშაობის პროცესში, შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში მას მოუვლელობით და სიმშილით სიკვდილი მოელოდა.

დღეს ეს ასე არაა. დღეს მუშა უბედურ შემთხვევისა, ინვალიდობისა, ავადმყოფობისა და სხვა ასეთ გაჭირვების დროს თავს უპატრონოთ არ გრძნობს. მან კარგათ იცის, რომ არსებობს ისეთი ორგანო, რომელიც მას ასეთ შემთხვევებში მზრუნველ მფარველად მოევლინება და ძმურ დახმარების ხელს გამოუწვდის.

ასეთ ორგანოს წარმოადგენს დამზღვევი კასა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პირობებში სახელმწიფოებრივი მასშტაბით არის მოწყობილი და ყოველგვარ ფილანტროპიულ და ძველ მოქმედების ხასიათისაგან განთავისუფლებული.

მენშევიკების ბატონობის ხანაში მუშათა მოძრაობის ეს მხარეც დაქვეითებული და დაჩიავებული იყო. მაგალითად, ტფილისის კასაში ტფილისის მასშტაბით 1921 წ. 1 იანვრისათვის დაზღვეული იყო სულ 4,289 სული მაშინ, როდესაც, მათივე ცნობით, იმ დროს ტფილისში პროფკავშირის წევრათ ითვლებოდა 44,240 მუშა, ე. ი. დამზღვევ კასით სარგებლობდა მუშათა მეათედი ნაწილი. რაც შეეხება პროვინციას, ერთი ორი ქალაქის გამოკლებით, იქ დამზღვევი კასსა სრულებით არ არსებობდა.

ამასთან დახმარებაც არის და დახმარებაც. მენშევიკების დროინდელი დამზღვევ კასის დახმარება ზღვაში წვეთს წარმოადგენდა. გარდა იმისა, რომ დახმარება ყოვლად უმნიშვნელო იყო და ის სამათხოვრო წყალობა უფრო იყო, ვიდრე არსებითი დახმარება, ისიც არ ვრცელდებოდა ყოველ უბედურების შემთხვევაზე.

მაშინ შრომის ინვალიდებისათვის პენსიები, ძუძუმწოვარ ბავშთათვის 9 თვის განმავლობაში რძის ფული და სხვა მრავალი სახის ასეთი დახმარება სრულებით არ არსებობდა. დამზღვევ კასის მოღვაწეობას ერთგვარი დეკორაციული ხასიათი უფრო ჰქონდა, ვიდრე საქმიანი. ეს დეკორაცია საჭირო იყო მენშევიკებისათვის მუშათა მოძრაობის მთლიან სურათის მოსაჩვენებლად.

როგორც კი დამყარდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება, ამ მხრივ სურათი ერთბაშად შეიცვალა. აპრილს 1921 წელს გამოვიდა კანონი, რომლითაც მუშათა დაზღვევა საყოველთაო, სავალდებულო და უსასყიდლო გახდა. მხოლოდ ჭეშმარიტ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებამ განახორციელა ის, რაც მუშათა კლასისათვის ბრძოლისა და ნატვრის საგანი იყო როგორც ნიკოლოზის, ისე მენშევიკების ბატონობის დროს.

1923 წლის 1 იანვრისათვის ტფილისის მასშტაბით ითვლებოდა 30,727 წევრი და ყველანი დამზღვევ კასის წევრებადაც იყვნენ. საინტერესოა მუშებისა და მოსამსახურეების საერთო რიცხვის შედარება საანგარიშო წლის განმავლობაში, რაც ასეთ სურათს იძლევა:

თვეები	მუშები	პროც.	მოსამსახურ.	პროც.	სულ
იანვარი	24898	58,3	17827	41,7	42725
თებერვალი	25279	58,1	18261	41,9	43546
მარტი	28218	56,9	18318	42,1	33556
აპრილი	24663	57,2	18369	42,8	43032
მაისი	24297	61,1	15,414	31,8	39711
ივნისი	23748	60,7	15364	39,3	39112
ივლისი	23681	60,4	16174	39,6	49855
აგვისტო	21606	58,5	15383	41,5	37068
სექტემბერი	21396	58,0	15483	42,0	36879
ოქტომბერი	20692	57,5	15291	42,5	35983
ნოემბერი	14877	51,5	14003	48,5	28880
დეკემბერი	15527	50,5	15200	49,5	30727
საშუალო	22248	57,8	16259	42,2	32507

დამზღვევ კასის წევრთა რიცხვის დაკლება ნოემბერ-დეკემბერში გამოწვეულია პროფკავშირთა წევრების გაწმენდით, რის შემდეგ ბევრი წვრილი ბურჟუაზიული და მესაკუთრე ელემენტი კავშირს გარეშე დარჩენ.

ეს ცნობა საინტერესოა იმ მხრივაც, რომ 1922 წელს ტფილისში გაცილებით მეტი ყოფილა ქარხანა-ფაბრიკის და საზოგადოთ ფიზიკური შრომის მუშები, ვიდრე მოსამსახურე; ეს ასედაც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ტფილისი რამოდენიმედ სამრეწველო ქალაქია და აქ მრავალი ფაბრიკა-ქარხანა არსებობს. პროვინციაში კი გაცილებით მეტია მოსამსახურეები და ამიტომაც მთელი საქართველოს მასშტაბით მუშებსა და მოსამსახურეებს შორის ასეთი პროპორცია არ არსებობს.

აღსანიშნავია, რომ ქალთა რაოდენობა მოსამსახურეებში უფრო მეტია, ვიდრე მუშებში, რასაც გვიჩვენებს შემდეგი ცნობა:

1923 წლის 1 იანვარ.	სულ	მამაკაცები	პროც.	ქალები	პროც.
მუშები	15527	12398	79,8	3139	20,2
მოსამსახურეები	15200	9645	63,5	5555	36,5

დაავადმყოფების რაოდენობა და ხასიათი.

საინტერესოა ტფილისის მუშების დაავადმყოფების რაოდენობის და ხასიათის გამორკვევა. დამზღვევ კასის ენერგიულ მუშაობის წყალობით ამ მხრივ კარგათ ყოფილა საქმე და ზოგიერთ დაწინაურებულ ქვეყნებსაც კი დავწევივართ. მაგალითად საანგარიშო წლის განმავლობაში დაავადმყოფებულთა პროცენტი დიდი არ ყოფილა, ის დამზღვევ კასის გამოანგარიშებით 10,5 პროც. წარმოადგენდა სულ თბილისის 40.000 მუშიდან ავად გამხდარა 40,34 მუშა. ავადმყოფობის შემთხვევე მუშა მომაკაცებში უფრო მეტი ყოფილა, ვიდრე მუშა ქალებში (მამაკაცები 17 პროც., ქალები 12,6 პროც.). თუ შევადარებთ ზოგიერთ ქვეყნებს, ეს ძალიან უმნიშვნელო პროცენტია. ბურჟუაზიულ გერმანიაში შრომის უნარის დაკარგვით საერთო დაავადმყოფების კოეფიციენტი 37,8 პროც. მეფის რუსეთში 1915 წელს ეს პროცენტი კიდევ უფრო დიდი იყო (50,9 პროც.). ბურჟუაზიულ ხელისუფლების პირობებში ეს არც გასაკვირია. იქ შრომის ექსპლოატაციის ჯოჯოხეთური პირობებია, რაც მუშათა ჯანმრთელობაზე თავის გავლენას ახდენს. საქართველოში დაავადმყოფების ასეთი მცირე პროცენტი მაჩვენებელია შრომის პირობების სათანადო სიმაღლეზე დგომისა, რაც ბურჟუაზიულ და თუნდაც დემოკრატიულ ქვეყნებში შეუძლებელია.

მუშათა დაავადმყოფება კავშირების მიხედვით ასეთ სურათს იძლევა:

პროფკავშირები.	დაავადმყოფ. რიცხვი	საერთო რიცხვის პროც.	ავადმყოფ. დღეთა რიცხ.	საერთო რიცხვის პროც.
კომუნ. მეურნ. მუშაკთა	1339	22,4	23,350	19,2
გემოკვების	1156	19,4	19,628	16,2
მელითონეთა	883	14,8	14,205	11,7
მეტყავეთა	531	8,9	8,218	6,8
მკერავთა	351	5,9	6,001	4.9
მბეჭდავთა	345	5,8	7,386	6,1
საექ.მ. სასან. შრომის	298	5,0	12,623	10,4
საბჭოთა მუშაკთა	295	4,9	10,928	9,0
ქიმიკოსთა	192	3,2	2,827	2,3
სოცკულტურა	163	2,7	6,913	5,7
ფეიქართა	103	1,7	1,734	1,4
ხის დამმუშავებელთა	100	1,7	1,138	0,9
აღმშენ. და სამთამადნო	50	0,8	1,476	1,2
სახალ. კვების	42	0,7	1,306	1,1
ტრანსპორტ.	42	0,7	1,215	1,0
მიწა-ტყის	38	0,6	943	0,8
ბამბის	33	0,7	1,054	0,9
ხელოვნ. მუშ.	13	0,2	436	0,4
სულ	5974	100	121,381	100

როგორც მოყვანილი ცხრილიდან სჩანს, დაავადმყოფების ყველაზე დიდი პროცენტი კომუნალურ მუშაკთა კავშირში ყოფილა, შემდეგ მას მისდევს გემო-კვების, მელითონეთა, მეტყავეთა და სხვა. ეს გამოწვეულია ზოგიერთ შემთხვევაში თვით წარმოების ხასიათით. ლითონის ზოგიერთი წარმოება, რამდენადაც მაღლა არ უნდა იდგეს იქ შრომის პირობები, მაინც მუშების ჯანმრთელობაზე მძიმეთ მოქმედობს. ამ მხრივ კარგ მდგომარეობაში ყოფილა სახალხო კვების, ტრანსპორტის მიწა-ტყის და ხელოვნების მუშაკთა კავშირები.

ავადმყოფობის გახანგრძლივების შემთხვევაში მუშა-მოსამსახურეებს შრომის ხელფასს აძლევს დამზღვევი კასსა. საგულისხმიეროა ცნობა კასის მიერ წევრთა ანაზღაურებულ დღეების შესახებ, რაც ასეთ სურათს იძლევა.

ავადმყოფობის დასახელება.	ანაზღაურებულ უმუშევარ დღეთა რიცხვი	პროც. ანაზღაურებულ დღითი საერთო რიცხვისა
1. ციებ-ცხელება	20991	17,3
2. ჭლექი	18212	15,0
3. ქირურგიული ავადმყოფ	15842	13,1
4. პარტახტიანი ტიფი	8600	7,2
5. ძარღვების და პსიქიური ავად.	6407	5,3
6. მუცლის ტიფი	6043	4,9
7. საჭმ. მომნელებელ ორგ. ავადმყ.	4479	3,7
8. სუნთქ. ორგან. დანარჩ. ავადმყ.	4443	3,7
9. სისხლ. მომქსევის. ორგ. ავად.	4233	3,5
10. ინფლუენცია	3998	3,3
11. ფილტვების ანთება	3561	2,9
12. გინეკოლოგიური ავადმყოფობა	3082	2,5
13. დანარჩენი ავადმყოფობანი	2467	2,0
14. ვენერიული ავადმყოფობა	2265	1,9
15. ღვიძლის და ჰაჰების ავადმყ.	1973	1,6
16. შებრუნებული ტიფი	1868	1,5
17. თვალების ავადმყოფობა	1776	1,5
18. კანის ავადმყ.	1564	1,3
19. გარეშე ძალთა ზეგ. გამოწ. ავად.	1228	1,0
20. დიზინტერია	890	0,7

ეს სურათი სხვა მხრივაც საყურადღებოა. ის გვიჩვენებს, თუ მუშებს შორის რა ავადმყოფობა ყოფილა ყველაზე მეტად გავრცელებული. ვფიქრობთ, ციებ-ცხელება უფრო ხშირი შემთხვევა იქნებოდა, ვიდრე ხანგრძლივი და ავადმყოფობით გაცდენილ დღეთა რიცხვიც ამიტომ არის ასე დიდი. რაც შეეხება ჭლექს, აქ ცხადია ავადმყოფობის შემთხვევა იმდენათ ხშირი იქნებოდა, რამდენადაც ხანგრძლივი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ავადმყოფობანი იმდენათ წარმოების მიზეზით არაა გამოწვეული, რამდენათაც მუშა-მოსამსახურის ცხოვრების შინაური პირობებით. წარმოებასა და დაწესებულებებში შრომის პირობები გაუტარებელია, ჰიგიენური და სანიტარული წესებიც დაცული, მაგრამ ასევე არაა მუშის ოჯახში. ჩვენ ვფიქრობთ, მუშათა დაავადმყოფებასთან ბრძოლა აწი ამ მხრივ უნდა წარიმართოს და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა საბინაო საქმის გაუმჯობესებას.

სიკვდილიანობის შემთხვევათა რაოდენობა.

მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ მუშათა საცხოვრებელი პირობები არაა სამუშაო პირობებთან თანაბრათ გაუმჯობესებული, სიკვდილიანობის შემთხვევა მაინც არაა დიდი, რაც მთავარია ამ მხრივ. მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება და ყოველ წელს ნაკლებ და ნაკლებ სიკვდილიანობის შემთხვევასთან გვაქვს საქმე მაგალითად, 1921 წელს თუ ყოველ 10,000 მუშაზე 126 სიკვდილიანობის შემთხვევა მოდიოდა, 1922 წელს ეს შემთხვევა 94-მდე დავიდა. ამ მხრივ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგ წლეებში სიკვდილიანობის შემთხვევა კიდევ უფრო დაიწევს.

10,000 კაცზე 94 სიკვდილიანობის შემთხვევა არაა სიკვდილიანობის დიდი პროცენტი. ამ საქმეში ჩვენ ზოგიერთ ევროპის სახელმწიფოებს დავეწიეთ და ზოგიერთთანაც ძალიან ახლო ვართ. სულ 5 პროც. განსხვავება გვაცილებს მათთან. თბილისში სიკვდილიანობის შემთხვევის ეს დიდი პროცენტი გამოწვეული იყო პარტახიანი ტიფის ეპიდემიით, რასაც დროული ხასიათი აქვს, მაგრამ, რაც სიკვდილიანობის შემთხვევის პროცენტის გადიდებაზე ძალიან მოქმედობს.

შემდეგ სიკვდილიანობის ყველაზე დიდი პროცენტი ჭლექიან ავადმყოფებზე მოდის.

შრომის უნარ-დაკარგულთა დახმარება.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში სათანადო დონეზეა დაყენებული შრომის უნართ დაკარგულთა ანუ ინვალიდთა დახმარებისა და უზრუნველყოფის საქმეც. მენშევიკების ბატონობის დროს ასეთ პირებზე ზრუნვა სრულებით არ არსებობდა. მაშინ სახელმწიფოს არც ერთი პენსიონერი არ ყოლია. ახლა კი ტფილისის დამზღვევ კასის პენსიონერთა საერთო რიცხვი უდრის 1923 წ. 1 იანვრისათვის 459. აი ცხრილი იმის შესახებ, თუ როგორ თანდათანობით იზრდებოდა საანგარიშო ხნის განმავლობაში პენსიონერთა რიცხვი:

თვეები	პენსიონერთა რიცხვი	პენსიის საერთო ჯამი.
იანვარი	26	304,500 მან.
თებერვალი	39	7,613,000 „
მარტი	85	22,889,500 „
აპრილი	123	48,158,500 „
მაისი	163	48,361,000 „
ივნისი	228	81,666,500 „
ივლისი	294	21,681,500 „
აგვისტო	324	233,419,000 „
სექტემბერი	352	207,080,000 „
ოქტომბერი	378	423,957,000 „
ნოემბერი	420	369,208,000 „
დეკემბერი	459	428,313,000 „
სულ . . .		2,095,652,500 მან. ქარ. ბონ.

დახმარება ოქროს ვალიუტით რომ ვიანგარიშოთ 15,218 მანეთს წარმოადგენს.

პროფმუშაკი.

მუშათა ცხოვრება

დღეს, 3 აგვისტოს, საღამოს 4 საათზე „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე დანიშნულია ჩვენი თანამშრომელ მუშა-კორესპონდენტების კრება.

ამხ. მუშკორები ვალდებული არიან უკლებლივ დაესწრონ კრებას.

გორჯომის მუშათა დასასვენებელი სახლი.

ზემოხსენებული მუშათა დასასვენებელი ბინა, არსებობს ყოფილ ფიროუზა გასტინიცის შენობაში „ბორჯომის პარკის გვერდზე“, მარცხენა მხარეს, სადაც მინერალური წყლის ქარხანაა მოთავსებული. ეს შენობა ყოფილა ძველად მდიდარი თათრის, რომ ეს ასეა მნახველსაც შეუძლია დარწმუნდეს იმით, რომ სახლი აშენებულია თათრულ გემოვნებაზე. ამასთან საუცხოვო ხელოვნური ნახატია გარედანაც. სახლის კედლები არის პატარა ფერად ფერადი მინებით მორთული, რომლებიც იზიდავს ყველა გამვლელს და გამომვლელს. შიგნით რემონტი უქნიათ და არ ეტყობა მხატვრობა და კირით არის გალესილი. აქ პირველად მდგარა წითელი ჯარი, ეხლა კი ის მუშათა დასასვენებელ სახლად არის ქცეული, სადაც დაღლილ-დაქანცული მუშა ისვენებს ორი კვირით, რათა შეიძინოს მან შრომის ენერგია, რომ შემდეგში უკეთ შესძლოს მუშაობა.

აღნიშნულ სახლში არის 70 კაცის ადგილი. ოთახების რიცხვი დაახლოებით 30-მდეა. თითო ოთახში არის მოთავსებული 3 ლოგინი, ანუ 4 ოთახის სიდიდის მიხედვით. აქაური მოსამსახურების და მუშების რიცხვი უდრის 9 სულს. მათ შორის 3 ქალია, რომელნიც ასუფთავებენ ოთახებს; 2 მზარეული და მათი თანაშემწე, 1 მეეზოვე, 1 საქმის მწარმოებელი, 1—საწყობის გამგე; 1—თვით მუშათა სახლის გამგე. ეს მუშა-მოსამსახურეები ასრულებენ თავის მოვალეობას პირ ნათლად, ვალდებულების მიხედვით.

რაც შეეხება მუშების ყოფა-ცხოვრებას უნდა ვსთქვათ, რომ თანდათანობით უმჯობესდება იგი, რადგანაც უკვე გახსნილია ბორჯომში სამკითხველო სადაც მუშა კითხულობს სხვა და სხვა პოლიტიკურ წიგნებს და აგრეთვე რუსულ გაზეთებს. სამწუხაროდ, ქართული და სომხური გაზეთები იშვიათად მოდის ამ სამკითხველოში, საჭიროა რომ მუშები ღებულობდენ ქართულ და სომხურ გაზეთებს ხშირად, რადგან მათ ხშირად არც კი იციან რუსულად კითხვა. მუშას საკმაო დრო აქვს რომ წაიკითხოს გაზეთები. შევიწროვებული არიან აქ ჩამოსულ მუშა—სტუმრები სარეცხავით და აბანოთი, რადგანაც თითქმის ორი კვირის გამავლობაში მუშებს არა აქვთ საშუალება მითი ისარგებლონ და სუფთად იყვნენ საჭმლის მხრივ მუშები კმაყოფილი არიან. მათ უხვად აქვთ საჭმელ-სასმელი. დილით 8 საათ. ეძლევათ ჩაი ყველით, 11 საათზე „კრუჟკა“ რძე ზოგჯერ კვერცხითაც, კარაქი, 3 საათზე სადილი ორი კერძით უხვად. 8 საათზე, საღამოთი კარგი ვახშამი და ჩაი. შაქარი ეძლევათ 1 ნახ. გირვანქა ორი კვირის განმავლობაში. პური საერთოა. მადლობას უძღვნი მუშურ-გლეხურ მთავრობას ყველა მუშების სახელით, რომ ის ასე ცდილობს მუშების კეთილ-დღეობისთვის და არასფერს არ ზოგავს იმისათვის, რომ მუშა იქნეს კმაყოფილი. უსურვებ ჩვენს მთავრობას შემდეგშიც ასეთ ენერგიას მუშების საკეთილდღეოდ.

მადლიერი მუშა-ქალი მ. გველესიანი.

ეს ასე არ უნდა მოხდეს.

(სახ. მეურ. უმ. საბჭოს საყურადღებოდ).

ამ უკანასკნელ ხანებში თამბაქოს ტრესტი უარს აცხადებს თავის ხარჯზე საბავშვო „კერა“-ს შენახვის შესახებ იმ მოტივით, რომ მას არა აქვს ამისათვის ფინანსიური საშუალება. ამ სამწუხარო ამბავმა დიდს სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ჩვენი მეკოლოფე მუშები; მათ მოიწვიეს ამ დღეებში საერთო კრება, რომელზედაც ერთხმად დაადგინეს არავითარ შემთხვევაში არ იქნეს მეკოლოფეების „ბავშთა კერა“ დაკეტილი. ეთხოვოს თამბაქოს ტრესტს, მიიღოს ყოველივე ზომები მისი შესანარჩუნებლად, რათა ამით მეკოლოფე-ქალებს, (დედებს) ჰქონდეთ საშვალება გააგზავნონ თავისი ბავშვები ბავშვთა კერაში და თვითონ უშიშრად აწარმოვონ თავისი მუშაობა ქარხანაში.

ჩვენი მუშების მოთხოვნილება სავსებით კანონიერია და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მას მიექცევა სათანადო ყურადღება.

მუშკორი როტინოვი.

დაუშვებელი მოვლენები

მუშათა ცენტრალური კლუბი კულტურული დაწესებულებაა, და აქ, ამ კლუბში, თავს იყრიან კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ მუშა-მოსამსახურენი, პროფკავშირის წევრნი, წითელ არმიელნი და სხ. მუშათა კლუბი ემსახურება მხოლოთ მშრომელ მასას, ყოველივე მუშა, რომელიც მოდის მუშაობის შემდეგ კლუბში, ისვენებს აქ, ეწაფება ჟურნალ-გაზეთებს, მოხსენებებს, სიმფონიურ კონცერტებს და წარმოდგენებს.

შემჩნეულია სხვათა შორის, რომ მუშათა კლუბში ხშირათ შემოდიან მეზღვაურ-ჯარისკაცნი „მატროსები“—ნასვამი, და თვისი უხეში ქცევით და უშვერი სიტყვებით იპყრობენ მუშების ყურადღებას; ყოფილა ისეთი შემთხვევაც, რომ მატროსები ძალზედ მთვრალი, ერთმანეთში ბლარძუნით იწვევდნენ დამსწრეთა შორის უსიამოვნობასაც.

მუშათა კლუბში ასეთი მოვლენა დაუშვებელია, ის, ვინც შემოვა კლუბში და შეგნებულათ ჩაიდენს უწესობას, არღვევს კლუბის დისციპლინას და წესებს, იმას ადგილი არ უნდა ქონდეს კლუბში, ვინაიდან უხეში საქციელი რომელიმე მატროსისა სცემს მუშათა კლუბის პრესტიჟს, მის სახელს და დანიშნულებას, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენს მუშათა კლუბს ჩვენ თვითონვე უნდა მოუაროთ, ჩვენ უნდა დავეხმაროთ კლუბის ადმინისტრაციას წესიერების განმტკიცებაში, ჩვენ-ჩვენს კულტურულ კერაში უნდა გავანვითაროთ ჩვენი თავი, და არა ხელი შეუშალოთ; მატროსები სამწუხაროდ ამას არ გრძნობენ. საჭიროა ამ მოვლენას მიექცეს სამხედრო საზღვაო კომისარიატის ყურადღება, რათა მატროსებმა არ დაარღვიონ კლუბის წესრიგი და ხელი არ შეუშალონ მისს კულტურულ მუშაობას.

მუშკორი მელითონე.

მუშათა უბანს სჭირია დახმარება.

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ).

ნაძალადევის მცხოვრებლებს არა ერთხელ დაჰპირებიან იმის შესახებ, რომ მუშათა უბანს ეყოლება განსაკუთრებული მეეზოვე ნაგვის გად საყრელი „ტაჰკა“ და სხვა მაგრამ საუბედუროდ ეს დაპირება დაპირებად დარჩა და მუშათა უბნებს კი არავითარი დახმარება ამ მხრივ არ აღმოუჩნდა და მუშათა უბნები მოკლებული არიან საშვალებას, რომ ნაგავი რამე-ნაირად თავიდან მოიშორონ... აქამდინ მცხოვრებლებს უფლება ჰქოდდათ, რომ ნაგავი თვითონვე გაეზიდნათ სადმე, შორეულ გორებზე, მაგრამ დღეს კი ესეც აკრძალულია, რადგანაც ის ჰაერს სწამლავს ამიაკური შხამით. ეს რასაკვირველია, მცხოვრებლებისათვის ნამდვილი უბედურებაა. ნაგვის მოდება უბნის გარშემო დამღუპველია მათთვის და არა სასარგებლო ამიტომ მუშათა უბანი მოითხოვს, რომ მას ყავდეს ერთი კაცი, სანიტარი, ნაგვის გადასაყრელი ტაჰკა, რომლის შემწეობით მუშა-მცხოვრებლები იქნებიან განთავისუფლებული ამ გასაჭირისაგან. აღმასკომს ამ საქმის მოგვარებაში მუშათა უბნებიც დაეხმარება შეძლების-დაგვარად. იმედი გვაქვს ქალ. აღმასკომი ამ საკითხს ახლო მომავალში სრულებით მოაწესრიგებს რითაც გაუწევს დიდს დახმარებას მუშათა უბანს და ააცილებს მას მოსალოდნელ უბედურებას.

მუშის შვილი დევაძე-

პროვინციაში

ტყის კვირეული თელავის მაზრაში

თანახმად თელავის მაზრის პარტკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების დადგენილებისა ა—წ. თიბათვის 25 სა თელავის და ყვარელის სატყეოებში გატარებულ იქნა ტყის კვირეული 28 თიბათვიდან 6 მკათათვემდე. ტყის კვირეულის მოწყობა მოხდა სწორეთ მაშინ, როდესაც მინდვრებში გახურებული მუშაობა სწარმოებდა, ამიტომ შეუძლებელი იყო საგიტ საპროპაგანდო განყოფილების ყველა დადგენილებათა შესრულება.

სამაგიეროთ დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს იმ ღონისძიებებს, რომლებიც ეხება პრაქტიკულ მხარეს სატყეო კვირეულისას და რომლების ნაწილიც შესრულებულია კვირეულის განმავლობაში. სახელდობრ:

1) თელავის მაზრის საადგილ-მამულო განყოფილება შეუდგა დაკვრითი წესით განახორციელოს თელავის აღმასკომის დადგენილება შესახებ ფშავ-ხევსურების ერთ ალაგას დასახლებისა, რომლებიც 1917 წლიდან მოყოლებული რევოლიუციის ხანაში თავის ნებით დასახლდნენ ტყიან მთებში, რომელთაც ადგილისა და წყლის დამცველობითი მნიშვნელობა აქვთ. ეს საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია. რადგან ტყეები გაშენებულია თურდოსი, ზემოხოდაშნისა და სხვა მდინარეებ-ს სათავეებში და ნიაღვრებისა და წყალდიდობის დროს ბარში მოსახლენი დიდ უბედურებას განიცდიან. ფშავ-ხევსურების ასაყრელად და ახალ ადგილზედ დასასახლებლად გაგზავნილია მიწის მზომელი.

2) თელავის რაიონის სახალხო მოსამართლის ამხ. ქურციკაშვილის მიერ მკათათვისა და მარიამობისთვის განმავლობაში დანიშნულია განსახილველად ას ორმოცდა ათ საქმემდე ტყეების გაჩეხვის შესახებ. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ზემოხსენებული მოსამართლე თითქმის ყოველ შემთხვევაში განაჩენის გამოცხადებისას აფრთხილებს დამნაშავეს დანაშაულის განმეორებაში. რომელსაც მოაქვს ზიანი როგორც კერძოთ მისთვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის.

3) იყალთოს რაიონის აღმასკომის განკარგულებით მცხოვრებლების მიერ შესწორებულია გზები შორეული საექსპლოატაციო ტყეებისაკენ. ამნაირად დაცული იქნება ახლო რაიონის ტყეები, რომლებიც შესაძლებელი იქნებოდა განადგურებულიყო გაჭირვების დროს.

4) სოფლის საზოგადოება, ხელმძღვანელობით რაიონის აღმასკომებისა, სწრაფად შეუდგნენ ტყის დაბების დაცვას, რისთვისაც ირჩევენ ტყის მეთვალყურეებს.

ი. ხუკეჩი.

ნიგოითი (გურია).

ნიგოითის თემი კარგა მოზრდილი თემია, რომელიც მჭიდროთ არის დასახლებული. ამ თემის მოსახლეობის ცხოვრების უმთავრეს წყაროს წარმოადგენს მეურნეობა. მოყავთ სიმინდი და ღომი; აგრეთვე გავრცელებულია მევენახეობა, არის მაღლარი და ზოგს გაშენებული აქვს დაბლარი ვენახიც. ხარობს მანდარინა, დაფნა და სხვა კულტურული მცენარეები. მხოლოდ ეს უკანასკნელნი ნაკლებად არის გავრცელებული, თუმცა ზემოხსენებულ მცენარეთათვის ხელის შემწყობი პირობები როგორც ჰავის ისე ნიადაგის მხრივ არ არის.

როგორც ზევით აღვნიშნე აქ ნიგოითის თემში სიმინდი და სხვა პურეული მცენარეები მოჰყავთ, მაგრამ მიწის დამუშავება ხდება ძველი პრიმიტიული წესით, მამა პაპეული ხის გუთანით და თოხით. თუმცა ბევრი ჰგრძნობს იმ სიძნელეს, რომელიც წარმოადგენს ასეთი წესით მიწის დამუშავებას მაგრამ ვერ მიუმართავს უფრო განვითარებულ სამეურნეო იარაღებისათვის. გლეხი ფიქრობს ვაი თუ ნიადაგმა ვერ შეეგუოს ახალი წესით მიწის დამუშავებასო; ასეთი ეჭვი ყოვლად უსაფუძვლოა მაგრამ ამისათვის საჭიროა რომ გლეხმა თავის თვალით დაინახოს უპირატესობა გაუმჯობესებული მანქანებით მიწის დამუშავებისა. უნდა გავრცელებულ იქნას სოფლებში სამეურნეო ცოდნა, უნდა დაუმტკიცოთ მიწის მუშებს მაგალითებით და ცოცხალი ფაქტებით ახალი წესით მიწის დამუშავების უკეთესობა. მაგალითით დაიმედებული გლეხები უფრო გაბედავენ გაუმჯობესებულ გუთნების, თესლთა ბრუნვის საქონლის რაციონალურ მოვლა-პატრონობას და სხვა.

განზრახულია მთავრობის მიერ გურიაში სამეურნეო სასწავლებლების გახსნა რამდენიმე ადგილას. ნიგოითის თემის მიწის მუშები და ადგილობრივი ხელისუფლება დარწმუნებული, რომ აქ ნიგოითშიც გახსნიან სამეურნეო სასწავლებელს ვინაიდან ჩვენი აზრით ეს მიზანშეწონილია. ნიგოითი მასთან ახლო მდებარე თემებთან ერთად შეადგენს დიდ სამეურნეო რაიონს და თანაც საშვალებები ხელზეა სასწავლებლის გახსნისათვის არის.

ჩვენ გვაქვს მოქ. ალშიბაიასგან ჩამორთმეული სასახლე, ძველ მემამულე მაჭუტაძის მიერ აშენებული ნიგოითის მთის ფერდობზე საუკეთესო ადგილას; ვისაც გაუვლია მატარებლით ბათომისაკენ და გასცილებია ნიგოითის სადგურს დაახლოვებით ერთ ვერსზე, ის თუ გაიხედავდა ნიგოითის მთისაკენ უსათუოდ შენიშნავდა მომაღლო ადგილზე აგებულ მშვენიერ სასახლეს. ეს სახლი შესდგება ცხრა ოთახებისაგან და თავის მოწყობილებით სრულებით შეეფერება სამეურნეო სასწავლებელს, ამ სახლში უნდა გახსნილიყო საბავშვო სახლი მთავრობის დადგენილებით მაგრამ რაღაცამ ხელი შეუშალა და კარგი იქნება თუ მას სამეურნეო სასწავლებლისათვის მაინც გამოიყენებენ. აქვე მოიპოვება მიწები, რომელიც დასჭირდება სკოლას, ასე რომ ყველაფერი ხელს უწყობს ნიგოეთში სამეურნეო სასწავლებლის გახსნას, საჭიროა მხოლოდ მთავრობის დასტური.

შ. კ.

ს ი ა

იმ სახლებისა, რომლებზედაც ვრცელდება მუნიციპალიზაცია ქ. თბილისში სახელმწიფო დაწესებულებისა და წარმოებების საჭიროებისათვის.

№№ რიგ.	მისამართი.	სახლის პატრონის გვარი.
1	გრიბოედოვის ქ. 27	ოგანეზოვისა
2	სასამართლოს ქ. 31	შახბუდაღოვისა
3	სასამართლოს ქ. 42	
4	სასამართლოს ქ 42	
5	პლეხანოვის ქ. 61	ბროდსკისა
6	„ 63	ანდრიოლეტტისა
7	„ 121	რემენდიკისა
8	„ 171	
9	„ 142	
10	„ 139	
11	ელისაბედის ქ. 84	კაზლოვსკისა
12	ელისაბედის ქ. 73, კიროჩნი ქ. 32	ფეფელოვისა
13	ელისაბედის ქ 176	ოსაძესი
14	„ 17	
15	„ 77	
16	„ 60	
17	კახეთის ქ. 34	
18	„ ქუჩამანდი 2	მაგასაროვისა
19	„ ქ. 57	მდივანოვისა
20	„ 51	ოლხანოვისა
21	მურავიოვის ქ. 9	
22	ალექსეევის ქ 53	აბაშიძისა
23	ანდრეევის ქ. 18	სულთანოვისა
24	„ 44	
25	ბროსეს ქ. კუთხე 4	აივაზოვისა
26	რეიტერის ქ. 4	რედკოვისა
27	„ 6	ბრონიშევსკისა
28	მთის ქ. 4	თარხანოვისა
29	გორის ქ. 4	მალხაზიანისა
30	მთის ქ. 52	
31	საგურამოს ქ. 5	გოცირიძისა
32	კიროჩნის მოსახ. 15	გაბაშვილისა
33	კამოს ქ. 34—36	მამალოვისა
34	„ 59	
35	„ 52	
36	საბურთალო	გაბაშვილი
37	„ „	მახვილაძე
38	პუშკინის ქ. 10	სომხ. სემინარ.
39	ვაგზლისა და გოგოლ. ქიმი 19	ხვედელიანისა
40	ალექსანდროვის ქ. 57	
41	„ 14	
42	სერგეევის ქ. 20	ლისიციანც
43	„ 4	ფოშტენბერგისა
44	„ „ 12	ოგანეზოვისა
45	რტიშჩ. და ბებუთ. ქიმი 35	სულთანოვისა
46	რუსთაველის 33	თამამშევისა
47	სამების ქ. 9	სომხიევისა
48	„ 11	შაფრანოვისა
49	„ „ 13	ღამბაროვისა
50	„ „ 22	
51	ივანგულოვისა 12	
52	პეტროგრადის 1	რაშტიევისა
53	კოოპერატივის ქ. 15	
54	კობის ქ. 9	მადათოვისა
55	მალაკანის ქ. 11	დათიაშვილისა
56	ბებელის ქ 1	
57	„ „ 2	
58	ანჩისხატის ქ. 1	
59	ლერმონტოვის 21	წერეთლისა
60	ვორონცოვის 51	მაშადი ჯაფაროღლისა
61	„ 126	
62	კონსტ. და პეტროპავლ. ქ 22	გრიგორიანცისა
63	19 თებერვლის ქ 28	ნალბანდოვისა
64	„ 3	
65	ჩერქეზოვის 36	ქიდხუდოვისა
66	„ 111	თოროზოვისა
67	„ 29	ჯაშიდოვისა
68	„ 24	გორგანოვისა
69	საპიორის ქ. 20	გოცირიძისა
70	მინკევიჩის ქ. 3	მელიქოვისა
71	არაგვის ქ. 2	სვიმონოვისა
72	წყნეთის ქ. 2	კალანტაროვისა
73	შემახის ქ. 24	სულხანიშვილისა
74	კათოლიკ. ქ. 6	
75	ლოტკინის გორა 36	აივაზოვისა
76	სტრელკოვის ქ. 4	კრილაშვილისა
77	ფალავანდოვის ქ. 21	კაცლაშვილისა
78	ვარდისუბნის 4	ნუნუხაროვისა
79	ველიამინოვის 15	თამამშევისა
80	ფერშლის შესახვევი	სტეპანოვისა
81	ლაზაროვის ქ. 9	აპრიამოვისა
82	კამგეროვის ქ. 13	ვარძიგულოვისა
83	„ „ 4	
84	ერმოლოვის ქ. 15	
85	ვაკე	ვალტერისა
86	ლორის მელიქოვის 9	მუხრანსკისა
87	რეუტ. და პლეხ. ქიმი, 41	ანანოვისა
88	ვერის დაღმართი, 21	
89	საუფლისწულო (უდელნი), 1	
90	ანდრეევის და კიროჩ ქიმი	
91	ქსენიას ქუჩა, 8	
92	„ „ 11	
93	მამადავითის ქ., 25	
94	ნიკოლოზის ქ., 60	
95	ქავჭავაძის ქ., 4.	
96	ბებუთოვის, 6.	
97	ბებუთ. და კოჯრის ქიმი	
98	გუნიბის ქ., 10.	
99	გუდოვიჩისა, 31.	
100	კონდრატ. და შემახ. ქიმი 15	
101	სურპნიშანის, 2.	
102	ფერისცვალების (პოკროვს.)	
103	იზმაილ. და ბელინ. ქიმი 24	
104	რეუტოვის, 11	
105	შელკოვნიკოვისა, 9	
106	ტურგენიევისა, 11	
107	კრილოვისა, 1	
108	ელისაბედ. და კიროჩ. ქიმი 72—22	
109	ბაქოს ქ., 2	
110	ავლაბრ. და ეჩმიაძ. ქიმი 11	
111	პლეხანოვისა 172	ტერ-ასატუროვისა
112	„ 142	
113	„ 120	
114	ალექსანდ., 58	ტერ-არუტიუნოვისა
115	ლერმონტოვისა, 8	გეორქოვისა
116	19 თებერვ. ქ. ქიმი 85	ავაქოვისა
117	კოოპერაც. ქ. ქიმი	რახვიაშვილისა
118	ძველი ნავთლუღისა	პოლოსოვისა
119	რეიტერის, 69	მატინიანცისა

ს ი ა

იმ სახლებისა, რომელზედაც ვრცელდება მუნიციპალიზაცია

საქ. პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ მუშათა საბინაო კოოპერატივის საჭიროებისათვის.

1	მიხეილის ქ.	124	მდივანოვის სახლი
2	გრიბოედოვისა	30	ტურკოვსკისა
3	გრიბოედოვისა	26	ტერ-სარქისოვისა
4	კრილოვის	11	ფირადოვისა
5	ბორჯომის	7	ჩიჩოვისა
6	ელისაბედის	106	კობრიევისა
7	კრილოვისა	5	გოკიელოვის
8	კიროჩნის	18	ზადელავაძი
9	პეტროგრადის	4	სარქისოვისა
10	ელისაბედის	33	სიმხოვიჩისა
11	მალაკნის ქ.	42	კრეტინინისა
12	ფოთის ქ.	9	ბელიკოვისა
13	ვორონცოვის	61	ყურბანოვისა
14	იორის ქ	7	აბრამოვისა
15	ნუხის ქ.	13	ბაბაჯანოვისა
16	პასტერის	10	სვანიშვილისა
17	ვორონცოვის	57	ხალილოვისა
18	ჩერქეზოვის	42	კარაკაშვილისა
19	ჩერქეზოვის მოედანი	9	ერისთავისა
20	ალექსანდროვის	28	ობუხოვისა
21	„	19	მანუჩაროვისა
22	ბელგ. და პლეხანოვის ქიმი 1	55	ხოდორსკისა
23	პლეხანოვისა	65	კარაპეტიანცისა
24	ავლაბრის მოედანი		ფორაქოვისა
25	ელისაბედის	79	ნავტიკოვისა
26	ნიკოლოზისა	45	აივაზოვისა
27	პლეხანოვისა	29 | 5	კამოევისა
28	კოჩუბეისა	13	ნერსესოვისა
29	„	10	ტერტეროვისა
30	ბელგიისა	6	ერმოლოვისა
31	ვერის დაღმართი	29	მარტიროზოვისა
32	პლეხანოვისა	108	ტურიშვილისა
33	მოსკოვის	13	საკოვისა
34	ანასტასიევისა	9	თარხან-მოურავისა
35	ანასტასიევისა	16	ვარაზაშვილისა
36	ბებუთოვისა	26	მარაიდოვისა
37	ვერის დაღმართი	3 | 5	ოსოპოვისა
38	განოვისა	15	კრასილნიკოვისა
39	„	9	შახ-ნაზაროვისა
40	გრიბოედოვის	14	ტიუნობეკოვისა
41	ჭავჭავაძის	12	ესაიანცისა
42	ახალი ბებუთოვის ქ.	11	კარცევოიასი
43	რტიშჩევის	3	ველლერისა
44	ჟუკოვსკისა	8	
45	ველიამინის ქ.	13	სეილანოვისა
46	„	23	ნავტიკოვისა
	ავჭალისა	59	
	ანტონოვისა	1	
	იაროსლავისა	7	
	ლიუტერანისა 2-ე	75	
	ავჭალისა	8	
47	ქსენიევისა	8	გარსოევისა
48	არსენალისა	7	ოვიანისა
49	ნიკოლოზისა	52	მამასაკისა
50	ალექსეევის	41	არუტიუნოვისა
51	პასკევიჩისა	8	მანთაშევისა
52	ბებუთოვისა	16	გალუსტოვისა
53	გუდოვიჩის	4	მაფაილოვისა
54	„	12	ბოზარჯიანცისა
55	რტიშჩევისა	9	ბალთასაროვისა
56	განოვისა	22	თამამშევისა
57	ოლღას ქ.	40	სხირტლაძისა

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე უბნის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოთხსენებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ საუბნო კომიტეტში აგვისტოს 3 და 4-ს, თბილისის საბჭოს შესახებ ამომრჩეველთათვის მოხსენების გასაკეთებლად მასალების მისაღებად.

1. ხოჯაევი, 2. იერომაიშვილი, 3. სიმონოვი, 4. ჭელიძე ემ., 5. ბოჭორიშვილი, 6. უსოვი, 7. მირზოიანი რუბენ, 8. არხიმანდრიტოვი, 9. იუზბაშევი მარია, 10. ალიეიანი, 11. ვართანოვი ეგიშ, 12. თარხანოვა, 13. ხუნდაძე სვიმონ, 14. კლემენტიევი, 15. კონოპაკი, 16. გრიკუროვა ვერა, 17. მიხაილოვა კატია, 18. ქორიძე, 19. ბახტიაროვი, 20. ვაშაკიძე, 21. მამჩიჩ, 22. არეშიძე ნინო, 23. ზალესნოვა ელენე, 24. ყორანაშვილი ალექსანდრე, 25. ფედოროვი პეტრე, 26. სალდაძე შალვა, 27. მელაძე, 28. გავრიშ, 29. რევია, 30. სერგეევი მიხეილი, 31. გრიგორიან კარო, 32. მზარეულაშვილი, 33. ტაკოევი, 34. ბაბაჯანოვი 35. მალეევი მიხეილი და 36 ჩაპლინი.

მეორე საუბნო კომიტეტი.

4 რაიკომი განმეორებით წინადადებას აძლევს ლევან მირზოიანს, ალექსანდრე აჯუნცევს, ევგენი კერესელიძეს და ალექსი მაისურაძეს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ რაიკომში.

პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ არუსტანოვი.

განცხადებები

საქართველ. პარტიულ-საბჭოთა პრესის

ცენტრალურ კანტორისაგან

(ყოფ. გაზტრესტი), **რუსთაველის პროსპ. № 26. ტელეფ № 5—48.**

აგვისტოს თვეში გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები შინ მიტანით:

საერთო ხელის მოწერა	2.000 000 მან.
კოლექტიური ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის	1.500.000 „
ერთი ეგზემპლიარი	100.000 „
იქვე მიიღება ხელის მოწერა ორკვირეულ იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგ“-ზე. თვიური ფასი შინ მიტანით .	500.000 „

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს 1 აგვისტომდის შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება. 8—8

თბ. ალმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოს

სამეურნეო სექცია

ამით აცხადებს, რომ დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

15,000 ფუთი თივის, 6,000 ფუთ[illegible] ფუ- ბზის დასამზადებლად.

დამზადების პირობები შეიძლება გაიცნოთ სამეურნეო სექციაში მადათოვის კუნძული № 1. საჯარო ვაჭრობა მოხდება აღნიშნულ მისამართით 8 აგვისტოს შუადღის 12 საათზე.

კრ. 555—3—1 უ. ქ. ს.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სააღმშენებლო კომიტეტი ამით აცხადებს

საჯარო ვაჭრობას

12 ცალი მუდმივი ნაკადიანი 440 ვოლტ. და 15 ცხენის ძალიანი ელექტრო-მატორის მისაწოდებლად.

მიწოდების ვადა 1 ნახ. თვეს არ აღემატება. საჭირო ელექტრო მამოძრავებელთა ვრცელი სიის მიღება შეიძლება ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სააღმშენებლო კომიტეტის სამუშაოების სამმართველოს მატერიალურ ნაწილში (ლადო დუმბაძის ქუჩა № 3). ყოველ დღე სამსახურის საათებში.

წინადადებანი როგორც ნაწილობრივი, ისე მთლიანი უნდა იქნას წარდგენილი კომიტეტში (ლ. დუმბაძის ქუჩა, 3) არა უგვიანეს ა | წ. 20 აგვისტოს შუადღის 12 საათისა დაბეჭდილ კონვერტებში შემდეგი წარწერით: „საჯარო ვაჭრობისათვის ელექტრო-მამოძრავებელთა მისაწოდებლად“.

წინადადებაში ფასები უნდა იქნას ნაჩვენები ჩერვონცებით ფრანკო—ტფილისში ცალ-ცალკე თითეულ ელექტრო-მამოძრავებელისათვის და სავალდებულოა როგორც სრული, ისე ნაწილობრივი დაკვეთისათვის. კრ. 552

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **საბუღალტერიო პრაქტიკული კურსი**

ი. ფ. პალატნიკოვის

პლეხანოვის პრ. № 132.

სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.

მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან.

კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

0—13

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სააღმშენებლო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ 1923 წ. 10 აგვისტოსათვის გამოცხადებულია შეჯიბრება პიკეტ № 3-დან პიკეტ № 5-მდე არხის გასაყვანად კლდეში სანაღმო სამუშაოს იჯარის გასაცემად, დაახლოვებით 1500 კუბ. საჟ., იჯარა გაიცემა მოიჯარადრის ხელსაწყოთი და ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სააღმშენებლო კომიტეტის ასაფეთქებელი მასალით; სამუშაოს შესრულების ვადა არის ორი თვე ნახევარი.

იმ პირებმა, რომელთაც სურთ აღნიშნული სამუშაოს აღება, უნდა წარმოადგინონ ამის შესახებ წერილობითი განცხადება დაწესებულ ნიმუშის ბლანკზე დახურულ კონვერტებში შემდეგი წარწერით: „ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სააღმშენებლო სამუშაოების უფროსს 1923 წ. 10 აგვისტოს შეჯიბრებისათვის, აღნიშნულ რიცხვში გაიხსნება წარდგენილი კონვერტები. ფასები უნდა იქნას აღნიშნული ჩერვონეცის მანეთებში, ანგარიშების გასწორება მოხდება ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით საანგარიშო ქვითარების შედგენის დღეს არსებულ კურსის მიხედვით და ტფილისის ბირჟის ფასების დამწესებელ კომისიის ცნობების თანახმად.

განცხადებასთან დართული უნდა იყოს ქვითარი ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სააღმშენებლო კომიტეტის კასაში საიჯარო თანხის 5 პროც. საწინდარის შეტანის შესახებ. იმ პირების და ორგანიზაციების საწინდარი, რომელთაც არ მიეცემათ საიჯარო სამუშაო, დაუყოვნებლივ დაუბრუნდებათ მათ შეჯიბრების შედეგების გამორკვევისთანავე. ხოლო იმ პირთა და ორგანიზაციებს, საწინდარი, რომლებიც იჯარას მიიღებენ, დარჩება ზემო-ავჭალის ჰიდრო ელექტრონის სადგურის სააღმშენებლო კომიტეტის კასაში და გადიდებული იქნება საერთო თანხის 10 პროცენტამდე, პირველ ანგარიშების გასწორებიდან 10 პროცენტიან გადარიცხვით და დაუბრუნდებათ მათ მხოლოდ საიჯარო სამუშაოს დასრულების შემდეგ. ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სააღმშენებლო კომიტეტი იტოვებს უფლებას გასცეს იჯარა არა უმცირესი ფასების მიხედვით, არამედ მიიღებს მხედველობაში მოიჯარადრის წინანდელ მოღვაწეობას, მის გამოცდილებას და სამუშაოს თავის დროზე შესრულებას.

განცხადებების ბლანკები და ყოველგვარი პირობები შეიძლება მიღებულ იქნას ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სააღმშენებლო კომიტეტის ტეხნიკურ განყოფილებაში ყოველ დღე დილის 10 ს.—შუადღის 12 საათამდე ქ. ტფილისი, ლადო დუმბაძის ქუჩა (ყოფ. ველიამინოვის).

შენიშვნა: წინასწარი საწინდრის შეტანისაგან შეიძლება იქნან განთავისუფლებულნი მუშათა და გლეხთა არტელები, რომელნიც კანონიერის წესით არიან გატარებული შრომის სახალხო კომისარიატის რეგისტრაციაში და რომელნიც განცხადებასთან ერთად წარმოადგენენ სათანადო მანდატს, გაცემულს არტელის რწმუნებულის სახელზე. ამ შემთხვევაში საწინდარი შესდგება ანგარიშის გასწორების დროს 10 პროცენტიან გადარიცხვათა საშუალებით.

კრ. 542 3—2

ელექტრონის სინათლის და

სამკურნალო

საწოლებით რენტგენის [illegible]

მიხეილ გედევანიშვილის [illegible]

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible]

ექიმობას საჭიროებენ

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—10)

ქ. თბ. I რაიონის სახალხო მოსამართლე

იწვევს სასამართლოში სტეფანე ივანეს ძე ტერ-მიკაელიანს, როგორც მოპასუხეს სუსანა გრიგორის ასული ტერ-მიკაელიანთან განქორწინების შესახებ და აფრთხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნებისა არ გამოცხადდება დანიშნულ იქნება საქმე და გამოტანილი დაუსწრებელი დადგენილება.

1-ლი რაიონის სახალხო სასამართლო იმყოფება სასამართლოს ქუჩაზე № 32.

კრ. 1037. სახალხო მოსამართლე (ხელის მოწერა).

ტფილისის მე-8 უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს ვარსენიკ ტიგრანის ასულს ვართანოვისას, როგორც მოპასუხეს, სარქის სტეფანეს ძე ვართანოვთან განქორწინების შესახებ ორი თვის განმავლობაში, დღიდ ნ ამ განცხადების დაბეჭვდისა, რის შემდეგაც უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება და საქმე მის დაუსწრებლად გაირჩევა.

თბილისის მე-8 უბნის სახალხო მოსამართლე **რცხილაძე.**

(1034—1—1)

დაჰკარგე ტფილისის ყოფილ ქალთა მეშვიდე წმ. ნინოს გიმნაზიის რვა კლასის დამთავრების მოწმობა № 489 და მეტრიკული მოწმობა № 2873 თეოდოსია ვლადიმერ შენგელიას ასულის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. (1035—1—1)

დაჰკარგე სიმწიფის მოწმობა № 115 მოცემული 1922 წელს ხონის პედაგოგიური ტეხნიკუმიდან **აკაკი ქაცარავას** სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. (1033—1—1)

დაჰკარგე პასპორტი, გაცემული 1923 წ მაისის 27-ს ქ. ტფილისის მილიციის უფროსის მიერ ლიდია ლაფერათაბეგოვის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1031—1—1)

დაჰკარგე სახლის წიგნი კონსტანტინე მაჭავარიანის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. (1032—1—1)

დაჰკარგე პასპორტი იოსებ დავითის ძე ლეკიშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ. (1036—1—1)

„ზარია ვოსტოკა-ს“ სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4